პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 49 (11962)
კვირა, 26 თებერვალი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მხედველობაში მიიღო რა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალგზის გამოთქმული სურვილი და გაითვალისწინა რა სსრ კავშირის მთავრობის ორგანოებში შემოსული მრავალი წერილი, რომლებითაც საბჭოთა და უცხოელი მოქალაქეები შუამდგომლობენ, რომ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს მოსკოვში მიენიჭოს პატრის ლუმუმბას სახელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, კონგოელი ხალხის გმირის, კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას ხსოვნისათვის, [illegible] ცოცხლე შესწირა თავისი ქვეყნის [illegible] და დამოუკიდებლობისათვის [illegible] ჭოს ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს მოსკოვში პატრის ლუმუმბას სახელი და ამიერიდან ეწოდოს პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუსადმი

22 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს.

ქვემოთ ქვეყნდება წერილის ტექსტი.

„პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

მოგმართავთ თქვენ ამ წერილით, რათა გაგაცნოთ საბჭოთა მთავრობის მოსაზრებანი აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების — სენატის თავმჯდომარის ეოზეფ ოკიტოსა და თავდაცვის მინისტრის მორის მპოლოს ვერაგულად დახოცვასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სტიქიური აღშფოთება გამოიწვია კოლონიზატორებისა და მათი დამქაშების ამ დანაშაულმა, რასაც მოჰყვა საპროტესტო დემონსტრაციები და მოთხოვნები—ბოლო მოეღოს კოლონიზატორთა თარეშს კონგოში, სახტიკად დაიხაჭონ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის პ. ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების დაღუპვაში.

არ დაგიმალავთ, რომ როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თავს დიდ ძალას ვატან, რომ დავიყუჩო ის გულისწყრომა, რომელიც გამოიწვია ცნობამ პატრის ლუმუმბას მკვლელობის შესახებ, და მისი ჯალათებისადმი ზიზღის გრძნობა. მაგრამ რარიგ ძნელიც უნდა იყოს გრძნობების შეკავება ბოროტმოქმედების წინაშე, რომელიც ესოდენ მწვავედ შეეხო თვითეული პატიოსანი ადამიანის სინდისს, სახელმწიფო მოღვაწეთა მოვალეობაა იხელმძღვანელონ უწინარეს ყოვლისა გონების მოსაზრებებით, თავიანთი ხალხებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებით. დრო მოაშუშებს მწუხარებით გამოწვეულ ნაიარევსა და ჭრილობებს, მაგრამ პოლიტიკური პრობლემები რჩება, და ეს პრობლემები უნდა გადაიჭრას.

ახლა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, საჭიროა არა მარტო ხელახლა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა გზით შეუძლიათ კონგოს მეგობრებს დაეხმარონ კონგოელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში თავისი დამოუკიდებლობისათვის, არამედ ჩავფიქრდეთ უფრო ფართო პრობლემებსაც, რომლებიც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციას მთლიანად და მის მომავალს.

სწორედ კონგოს ამბები და განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას მკვლელობა გვაიძულებს სერიოზულად განვიხილოთ ის საკითხი, თუ რა როლი შეასრულა ამ ამბებში გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა და საერთოდ რა დაღს ასვამს მისი საქმიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მშვიდობა და ხალხთა უფლებები.

რა მოხდა კონგოში? ახლა ეს ხომ აღარავისათვის არ არის საიდუმლოება. ლუმუმბა და მისი ამხანაგები — კონგოს მტკიცე და ერთგული პატრიოტები — კოლონიურ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ. ეს შეთქმულება იწყება ჯერ კიდევ იმ დღეებიდან, როცა კონგოს მთავრობის თხოვნის პასუხად, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ დაეყრდნობოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერას კოლონიზატორთა აგრესიისაგან თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვაში, კონგოს მიწა-წყალზე შევიდნენ ჰამარშელდისადმი დაქვემდებარებული უცხოეთის ჯარები. დასავლეთის პრესა პირდაპირ აჭერელებია ცნობებით, რომლებიც შეეხება ამ ბოროტმოქმედების მომზადებას, მათ შორის კოლონიზატორთა ახალმოვლენილი დამქაშის ილეოს გარშემო ფუსფუსის შესახებ.

პატრის ლუმუმბას ფიზიკური მოსპობა არსებითად წინასწარ გადაწყვეტილი იყო, როგორც კი კოლონიზატორები დარწმუნდნენ, რომ ლუმუმბა გზას უღიმავს მათი გეგმების რეალიზაციას, რომ კონგოს მთავრობის მეთაური იბრძვის თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის და ბელგიელი კოლონიზატორებისაგან მისი განთავისუფლებისათვის.

როგორც კი ჰამარშელდისადმი დაქვემდებარებული ჯარები კონგოში ჩავიდნენ, ისინი მაშინვე გამოიყენეს ლუმუმბას წინააღმდეგ, იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ის ედგა სათავეში. ბლოკირებული იყო აეროდრომები, აიკრძალა რადიოსადგურებში შესვლა, შეწყვეტილ იქნა კანონიერი მთავრობის კავშირი კონგოს პროვინციებთან. საქმე იქამდე მივიდა, რომ კონგოს პრემიერ-მინისტრს მოუსპეს შესაძლებლობა მიეღო თვითმფრინავი, რათა ნახულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — სწორედ იმ ორგანიზაციაში, რომელსაც ხთხოვა დახმარება და ჯარების გაგზავნა.

დაიწყო კონგოს დანაწილება. უმდიდრესი პროვინცია — კატანგა — ფაქტიურად ჩამოაშორეს კონგოს. ბელგიელი ადმინისტრატორის ნაცვლად მას სათავეში ჩაუყენეს ადგილობრივ მოსახლეობაში შერჩეული შემცვლელი პირი — მარიონეტი ჩომბე, რომელიც მიეყიდა კოლონიზატორებს და უნდა ყოფილიყო შირმა, რომელიც დაფარავდა მათი ბატონობის აღდგენას კონგოს ტერიტორიის ამ ნაწილში.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ეს ნიშნავს, რომ, როცა კონგოში იგზავნებოდა ჯარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით, ჰამარშელდმა უკვე იცოდა, რისთვის იქნებოდნენ გამოყენებული ისინი. საქმე აქ, რასაკვირველია, ჰამარშელდის პერსონა კი არ არის, არამედ ისინი, ვისი ნების შემსრულებელიც ჰამარშელდია, საქმე მონოპოლისტ კოლონიზატორთა პოლიტიკაა, რომელთაც სურთ, ისევე როგორც წინათ, ჩაგრონ და ექსპლოატაცია გაუწიონ ყოფილი კოლონიური ქვეყნების ხალხებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს. მსგავსად იმისა, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილ მტაცებელ მხეცს არა სურს ბრეჟალებდან გაუშვას მსხვერპლი და ჯიჯგნის მას, სანამ კიდევ შესწევს ძალა, ისე ბელგიელი კოლონიზატორები და მათი თანამზრახველები ნატოში ვერაფრით ვერ შერიგებიან იმას, რომ ყოფილმა მსხვერპლმა — კონგომ გამოიღვიძა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და საკუთარ ფეხზე დგება.

უნდა ვთქვა, რომ კოლონიზატორთა ეს მაკინაციები ადრეც კარგად ჩანდა. სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ გენერალური ასამბლეის XV სესიაზე გააკრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატის, უმთავრესად ჰამარშელდის მოქმედება, და ამ ორგანიზაციის ახლანდელი ცალმხრივი სტრუქტურა. უკვე მაშინ ცხადი იყო, თუ რა ტაქტიკას მიმართავენ კოლონიზატორები და მშვიდობის მტრები და როგორ გამოიყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათ ხელი შეუშალონ ამ ორგანიზაციის წინაშე მდგომი საერთაშორისო საკითხების გადაჭრას. ჩვენ ვნახეთ იმის მკაფიო მაგალითები, თუ როგორ იყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კოლონიური და იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთი ინტერესებისათვის. და თუ სოციალისტური ქვეყნები, აგრეთვე ის ქვეყნები, რომლებიც ნეიტრალისტურ პოლიტიკას აბორიკელებენ, შეურიგდებიან ამას და გაჩუმდებიან, ამ ქვეყნების ხელმძღვანელები უსუსური ადამიანები აღმოჩნდებოდნენ, რომლებსაც არ შეუძლიათ რეალურად შეაფასონ მდგომარეობა და გაიკეთონ აქედან შესაბამისი დასკვნები.

კოლონიზატორები ახლა ცდილობენ შეცვალონ ექსპლოატირებულ ხალხებზე თავიანთი ბატონობის წინანდელი, უაღრესად უხეში ფორმები უფრო შენიღბული და დახვეწილი მეთოდებით. ისინი ინიღბებიან, მოქმედებენ შემცვლელი პირების საშუალებით. გამცემნი და მოღალატენი კი — ჩომბეს, მობუტუსა და კასავუბუს მსგავსი კაცუნები, რომლებიც მზად არიან ემსახურონ არა თავიანთ ხალხს, არამედ ვისაც გინდა, მხოლოდ კი მეტი მიიღონ — ყოველთვის მოიძებნებიან.

ისმება კითხვა, რა სახსრებით არსებობენ კონგოელი ხალხის ეს მოღალატნი? ვისი უხვი ნაბიძვარით ინახავენ მობუტუ და ჩომბე თავიანთ ბანდიტებს? ყველასათვის ცნობილია, რომ მათ გასამრჯელოს აძლევენ ბელგიელი კოლონიზატორები. მაგრამ მარტო ისინი კი არა. ჩვენ არ ვასახელებთ სხვებს, მაგრამ თქვენ თვითონ გესმით, რომ წყაროები აქ საკმაოდ ფართოა. გასაგებია, რომ ბელგიის მთავრობის მოქმედება წარმოუდგენელი იქნებოდა, მხარს რომ არ უჭერდნენ მისი მოკავშირენი სამხედრო ბლოკით, კოლონიზატორთა ბლოკით. ბელგია კონგოში ახორციელებს არა მარტო თავის პოლიტიკას, არამედ აგრეთვე ისეთი ბლოკების მონაწილეთა პოლიტიკასაც, როგორიც არიან ნატო, სენტო და სეატო. აი საიდან აქვს ბელგიის თავრობას რწმენა, რომ არ დასჯიან.

ისინი, ვისაც სურს შეაჩეროს ისტორიის მსვლელობა, ხელი შეუშალოს ხალხთა განთავისუფლებას კოლონიური ჩაგვრისაგან, დღეს გაერთიანებული არიან ურთიერთ თავდებობით და ერთად იბრძვიან მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ძალების წინააღმდეგ. ეს მკაფიოდ გამოვლინდა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა თავის უკანასკნელ სესიაზე იღებდა დეკოლონიზაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. იქ შეიქმნა მკვეთრი მიჯნა იმათ შორის, ვინც იცავს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებას და ვინც ამის წინააღმდეგია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კოლონიზატორებმა ვერ გაბედეს აშკარად გამოსულიყვნენ და ამჯობინეს თავი შეეკავებინათ ქენჭისყრის დროს, რიდაც ცხადყვეს, რომ არ ეთანხმებიან ასამბლეის გადაწყვეტილებას და წინააღმდეგობას გაუწევენ მის განხორციელებას.

შედეგებმა დიდხანს არ გვალოდინეს. კოლონიზატორებმა დაიწყეს აქტიური შეტევა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კონგოელი ხალხის წინააღმდეგ. ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების დახოცვა მოწმობს, რომ კოლონიურ ხალხთა განთავისუფლების მოწინააღმდეგეებმა ამკარად დაიწყეს თავხედური ტერორისტული მოქმედება.

პრემიერ-მინისტრ ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების დახოცვამ მთელ მსოფლიოს დაანახვა ის საზიზღარი როლი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა შეასრულა კონგოს ამბებში. კონგოს რესპუბლიკის გამოჩენილ ხელმძღვანელთა მხეცურმა დახოცვამ ტრაგიკულად ცხადყო, თუ რამდენად შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელ აპარატს სათავეში უდგას იმპერიალისტთა და კოლონიზატორთა აგენტი.

სწორედ ჰამარშელდმა შეუწყო ხელი პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას შეპყრობას ბანდიტების მიერ, რომლებსაც ბელგიამ და სხვა კოლონიალისტურმა სახელმწიფოებმა მისცეს ხელში იარაღი. კოლონიზატორებთან შეთანხმებით ჰამარშელდმა გამოიყენა გენერალური მდივნის მდგომარეობა იმისათვის, რომ ყოველნაირად გაეჭიანურებინა ღონისძიებათა მიღება კონგოს კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის დასაცავად. განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ კონგოში ჩასვლის დროს ჰამარშელდი აწარმოებდა მოლაპარაკებას ყველასთან, ფეხქვეშ ეგებოდა კოლონიზატორთა მარიონეტებს — კასავუბუს, ჩომბესა და სხვებს, მაგრამ არც კი მოისურვა შეხვედროდა კონგოს კანონიერ პრემიერ-მინისტრს პატრის ლუმუმბას, რომლის თხოვნითაც გაიგზავნა კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხელი დაიბანა, მიიღო „ჩაურევლობის“ ფარისევლური პოზა. ლუმუმბას „გაქცევის“ უხეში ინსცენირება აშკარად დაკავშირებულია ჰამარშელდის ვერაგულ მოქმედებასთან კონგოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისა და მისი ხელმძღვანელების მიმართ. თუ გულახდილად ვილაპარაკებთ, არსებითად ჰამარშელდმა მოკლა ლუმუმბა. მკვლელი ხომ მარტო ის არ არის, ვისაც დანა ან რევოლვერი ეჭირა, მთავარი მკვლელი ის არის, ვინც იარაღი მისცა მას.

ასეთია ფაქტები, სამწუხარო და აღმაშფოთებელი ფაქტები. და ამ ფაქტებმა აიძულეს საბჭოთა მთავრობა გაეკეთებინა დასკვნა, რომ ჰამარშელდის მთელი ხაზი კონგოში თავიდან ბოლომდე იყო კონგოელი ხალხის ინტერესების სულმდაბალი ღალატისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების და წესიერებისა და პატიოსნების ელემენტარული ნორმების შებღალვის ხაზი. ასეთ ადამიანს ადგილი არ უნდა ექნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხელმძღვანელ პოსტზე. ჩვენ ვერ შევურიგდებით იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც ჩადენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წაქეზებით. ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად იყოს ადამიანი, რომელმაც ჩირქი მოიცხო საზიზღარი მკვლელობით.

„ცივი ომი“ რომ არ გახდეს სულ უფრო გააფთრებული, რომ არ დავუშვათ „ცხელი“ ომი, აუცილებლად უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის რეორგანიზაცია. ჰამარშელდი თუ სხვა ვინმე — სულ ერთია ახლანდელ მდგომარეობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატის სათავეში იქნება კოლონიური და იმპერიალისტური სახელმწიფოების აგენტი, რომელიც მათ ინტერესებს დაიცავს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიძლება გახდეს ნამდვილი საერთაშორისო ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ბოროტმოქმედებანი საერთოდ გამორიცხული იქნება.

ჩვენი პოზიცია ამ საკითხში ნათლად იყო ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში სსრ კავშირის დელეგაციის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, როცა ჩვენ შევიტანეთ წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის რეორგანიზაციის შესახებ, რათა არ იყოს გენერალური მდივნის ერთპიროვნული ძალაუფლება, რომელიც ამუამად გამოსატვამს კოლონიერი, იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესებს. ჩვენ მაშინ წინადადება შევიტანეთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იყოს არა ერთი, არამედ სამი მდივანი, რომელთაგან თვითეული იქნება წარმომადგენელი ერთ-ერთი ჯგუფისა მსოფლიოში ამუამად ჩამოყალიბებული ქვეყნების სამი ძირითადი ჯგუფიდან: დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკების მონაწილე სახელმწიფოებისა, სოციალისტური სახელმწიფოებისა და ნეიტრალური ქვეყნებისა.

ასეთი სტრუქტურის დროს ყოველ ჯგუფს იქნება თანაბარი შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ გადაწყვეტილებათა ხასიათზე და ეს გადაწყვეტილებანი არ იყოს მიმართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების ამ სამი ჯგუფიდან რომელიმე ჯგუფის ინტერესების წინააღმდეგ. არა ამა თუ იმ დაჯგუფებების ვიწრო ინტერესები, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის საერთო ინტერესები, ყველა სახელმწიფოს მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესები, განურჩევლად მათი სოციალური და პოლიტიკური წყობილებისა, განსაზღვრავდნენ მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას, და ეს იქნებოდა ნამდვილად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორიც უნდა იყოს იგი და როგორიც არ არის ახლა, თავისი ახლანდელი სტრუქტურით, რომელიც არ შეესაბამება მსოფლიოში შექმნილ რეალურ მდგომარეობას.

ჩვენ სრულიადაც არ ვცდილობთ რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა მოვიპოვოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სოციალისტური ქვეყნებისათვის სახელმწიფოთა სხვა ჯგუფების წინაშე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ქვეყნების ამა თუ იმ ჯგუფის შედარებითი ჯაჭვლენა მუდმივი კატეგორია როდია, იგი იცვლება დროთა განმავლობაში და კიდევაც რომ დარჩეს ახლანდელი სტრუქტურა, როცა იმპერიალისტური, კოლონიური სახელმწიფოები ფაქტიურად ბატონობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკას მათი მორჩილი, ჰამარშელდის მეშვეობით, ხომ შეიძლება დადგეს ისეთი მომენტი, როცა გადამწყვეტი გავლენა, მათ შორის გენერალურ მდივანზეც, ექნება სახელმწიფოთა მეორე ჯგუფს, ვთქვათ, სოციალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ჩვენ ესეც არა გვსურს. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვესწრაფვით, ის არის, რომ სახელმწიფოთა ყველა ჯგუფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჰქონდეს ნამდვილად თანაბარი შესაძლებლობანი და თავს არ აბევეგდნენ ერთმანეთს თავიანთ ნებას, არამედ თანამშრომლობდნენ თანასწორ საფუძვლებზე მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ახლა ხომ მდგომარეობა ისეთია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი ახლანდელი სტრუქტურის მეოხებით ბატონობს სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი, ამასთან ყველაზე „პატარა როგორც ქვეყნების რაოდენობის, ისე მოსახლეობის რიცხვის მიხედვით, და იგი, ეს ჯგუფი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს თავის აგრესიულ, კოლონიალისტურ პოლიტიკას. მოკლედ რომ ვთქვათ, ახლა იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოიყენონ როგორც სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ისე იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური დამოკიდებულებისაგან და დაადგნენ ნეიტრალისტური პოლიტიკის განხორციელების გზას. რა თქმა უნდა, ასეთი ხაზი განწირულია ჩასაფშვნეტად. და ვინმემ კიდევაც რომ მოახერხოს ასეთი სულისკვეთებით გამსჭვალული ამა თუ იმ გადაწყვეტილების გატარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ასეთ გადაწყვეტილებებს არავითარი ძალა არ ექნება და, რა თქმა უნდა, არ იქნება იმ ამოცანების შესაბამისი, რომლებიც დასახული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე მისი შექმნის დროს, — საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სამხედრო კონფლიქტების დაუშვებლობის ამოცანების შესაბამისი. უფრო მეტიც, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ცდები თავს მოაბეზოონ თავიანთი ნება სხვა ქვეყნებს ვითარების მხოლოდ შემდგომ გამწვავებას იწვევს. ასეთი პოლიტიკა ეშასხურება არა მშვიდობის საქმეს, არამედ ვნებათა ღელვის გაღვივების საქმეს, მას შეიძლება საშინი შედეგები მოჰყვეს. კონგოს მაგალითმა ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიჩვენა. თუ ეს ხაზი გაგრძელდა, მას შეუძლია გამწვავება უმაღლეს წერტილამდე აიყვანოს და მსოფლიო მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე დააყენოს.

შეიძლება თუ არა შევურიგდეთ ასეთ პერსპექტივას? ჩვენ მიგვაჩნია, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, საჭიროა გამოვრიცხოთ მოვლენათა ამ მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ვისაც ნამდვილად სურს განამტკიცოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და გახადოს იგი სიცოცხლისუნარიანი, ვინც მხარს უჭერს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებას, მას არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართლიან საფუძვლებზე რეორგანიზაციის შესახებ.

მე მოგახსენებთ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, სავსებით გულახდილად ჩვენს მოსაზრებებს, რადგან მინდა იცოდეთ, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ დგას ამ პოზიციაზე. შეუძლებელია შევურიგდეთ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხოლოდ მოჩვენებით არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ვითომდა თანაბრად ითვალისწინებს ყველა სახელმწიფოს ინტერესებს, საქმით კი ემსახურება სახელმწიფოთა ვიწრო ჯგუფის ინტერესებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალ ოფიციალურ პოსტებზე მყოფი მათი აგენტების მეშვეობით, ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელია მხოლოდ კოლონიური იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ჩახშობის პოლიტიკას.

ახლა კოლონიზატორთა კოალიცია თავის ძალებს სინჯავს კონგოში. ეს ყოფილი კოლონია კვლავ სურთ დაუბრუნონ ბელგიის ბატონობას კონგოელთაგან შერჩეული ისეთი შემცვლელი პირების დახმარებით, როგორიც არიან კასავუბუ, მობუტუ, ჩომბე, ილეო და სხვები. თუ კოლონიზატორები ამას ბოროტებენ, წარმატება კონგოში გაამხნევებს მათ, წააქეზებს განახორციელონ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აფრიკისა და აზიის ყველა ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მთელ ფრონტზე შეტევის კიდევ უფრო თავხედური პოლიტიკა. ერთადერთი საშუალება, რომ ეს არ იქნას დაშვებული, ის არის, რომ გამოვაჩინოთ უნარი გავერკვეთ კოლონიზატორთა ეშმაკურად დახლართულ ინტრიგებში, დავუპირისპიროთ მათს მოქმედებას ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბეშმარიტი მეგობრების შეკავშირება და იმისათვის მზადყოფნა, რომ ჩაშალონ კონგოს და აფრიკისა და აზიის სხვა ახალგაზრდა სახელმწიფოთა ახალი დამონების გეგმები.

სავალალო გაკვეთილი, რასაც კონგოს ამბები იძლევა, ის არის, რომ რაც უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას ხვდებიან კოლონიზატორები, მით უფრო თავხედურად მოქმედებენ, და ეს ასისვიმბა კონგოს წინააღმდეგ აგრესიის წინაშე მხოლოდ მათთვის არის ხელსაყრელი.

თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, უეჭველია, იცით ის ნაბიჯები, რომლებიც საბჭოთა თავრობამ გადადგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში პატრის ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა ავაზაკური დახოცვის გამო. კონგოში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა თვითეული დაკარგული საათი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს კონგოელი ხალხის დამოუკიდებლობის საქმისათვის. ახლა ყველაზე ნაკლებ იქნება გამართლებული მერყეობა, გაუბედაობა და სანახევრო ღონისძიებანი.

სამჯერ მიიღო უშიშროების საბჭომ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოუწოდებენ ბელგიას გაიყვანოს თავისი ჯარები კონგოდან. მაგრამ აგრესორები ფაქტიურად უგულებელყოფდნენ ამ გადაწყვეტილებებს და ქმნიდნენ კონგოდან თავიანთი ჯარების ევაკუაციის მხოლოდ მოჩვენებითობას. ეს ქვეყანა კვლავ სავსეა ბელგიის სამხედრო და ნახევრადსამხედრო პერსონალით, რომელიც ხელმძღვანელობს კონგოელი ხალხის პატრიოტული ძალებისათვის ანგარიშის გასწორებას. ბოლო უნდა მოეღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა საბოტაჟს ბელგიის მხრივ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადაჭრით უნდა დაგვიოს ბელგიის მოქმედება კონგოში და ბელგიის, როგორც აგრესორის, მიმართ გამოიყენოს შესაბამისი სანქციები, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს.

მაგრამ ახლა აღარ კმარა მარტო ღონისძიებანი ბელგიის მიმართ. ბელგიელებმა უკვე შექმნეს თავიანთი აგენტებისათვის ჩობმესა და მობუტუსათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები, რომლებსაც ბელგიელი და სხვა უცხოელი ოფიცრები ხელმძღვანელობენ, და მოამზადეს ისინი ახალი დანაშაულისათვის.

ლუმუმბას მოკვლა იყო, როგორც ყველაფერი მოწმობს, სიგნალი ჩობმესა და მობუტუს ბანდების სამხედრო ლაშქრობის დაწყებისათვის კონგოს მთელი პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომლებიც დაიცავენ კონგოელ ხალხს ახალ ბოროტმოქმედებათაგან. არის მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება — ჩობმესა და მობუტუს დაუყოვნებლივ დაპატიმრება და სამართალში მიცემა, მათი ბანდების განიარაღება, აგრეთვე აგრესორების გაყვანა კონგოდან.

გასამართლებულ უნდა იქნან და მკაცრად დაიხაჭონ მკვლელები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საერთაშორისო დანაშაულში — კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, სენატის თავმჯდომარისა და თავდაცვის მინისტრის დახოცვაში. მთელმა მსოფლიომ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ დანაშაულისათვის. რაღას უნდა ეშიოს ბურებოდეს ამ პირობებში გამოძიების ან დამატებითი გამოძიების რაღაც კომისიები? ცხადია, რომ ეს ნიშნავს კონგოლნიზატორთა მანევრია, რომლებსაც სურთ „გამოძიების“ ხანგრძლივი პროცედურის დახმარებით თავიდან აიცილონ ლუმუმბას მკვლელთა დასჯა, რასაც მოითხოვენ ყველა ქვეყნის ხალხები, გაჯიანურონ საქმე და დაელოდონ იმას, რომ დრომ წაშალოს ამ მკვლელობით გამოწვეული აღშფოთებისა და მწუხარების გრძნობების სიმწვავე. შემდეგ კი ყოველთვის გამოიძებნება პატარა კაცი რომელიმე კაპიტანის სახით, ანდა საერთოდ იტყვიან, მკვლელთა მონახვა ვერ მოხერხდაო და, გაიმეორებენ რა ჯალათ ჩომბეს უხეშ მონაჭორს, განაცხადებენ, რომ ეს მოხდა კატანგის ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა სტიქიური აღშფოთების შედეგად და სხვ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ კონგოელი ხალხის ეროვნული გმირების მოსპობის ორგანიზატორები არიან გამოცდილი მკვლელები იმათ რიცხვიდან, ვინც აშკარად ღვრის ხალხთა სისხლს კოლონიურ ომებში და ახორციელებს ფარულ ხრიკებს თავიანთი დაქირავებული აგენტების მეშვეობით, უმზადებს რა დაღუპვას იმათ, ვინც მათთვის სასურველი არ არის, ვინც მთა წინააღმდეგობას უწევს. მათი მეთოდები ცნობილია უკვე მრავალი ათეული და ასეული წლის განმავლობაში, ისინი საკმაოდ დამაჯერებლად არის აღწერილი ლიტერატურაშიც.

თუ რეალურად შევხედავთ მდგომარეობას, უნდა ვაღიაროთ, რომ მთელმა ამ ეგრეთწოდებულმა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციამ კონგოში“, რომელიც ჰამარშელდის ხელმძღვანელობით განხორციელდა უშიშროების საბჭოს გასული წლის ზაფხულის ცნობილ გადაწყვეტილებათა შემდეგ, არა თუ ვერ მიაღწია მიზანს, რომელიც მხედველობაში ჰქონდა უშიშროების საბჭოს, არამედ გამოიწვია პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგები. როცა ჯარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატით ჩავიდნენ კონგოში, იქ მოქმედებდნენ კანონიერად არჩეული პარლამენტი და მთავრობა, რომლებიც მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას ეურდნობოდნენ, კონგოში არსებობდა დემოკრატიული თავისუფლებანი, ხალხი იწყებდა „ეროვნული ეკონომიკის მშენებლობას, გავიდა ნახევარ წელზე ცოტა მეტი, და რა მოხდა? ყოველივე ეს დაირღვა, პარლამენტი გარეკეს, გამოჩენილი ეროვნული ლიდერები ფიზიკურად მოსპეს, კონგოს ტერიტორია დაანაწილეს და მის მნიშვნელოვან ნაწილში კვლავ უცხოელი კოლონიზატორები ბატონობენ და მათი დაქირავებული ჯალათები თარეშობენ. იღვრება კონგოს პატრიოტთა სისხლი, ქარი ფანტავს უცხოელ ინტერვენტთა თვითმფრინავებიდან გადმოყრილი ბომბებით გაჩენილი ხანძრების კვამლს, — და ყოველივე ეს ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცისფერი ალმით, ყოველივე ამას გულგრილად ადევნებს თვალყურს ყველაზე დიდი ორგანიზებული შეიარაღებული ძალა კონგოს ტერიტორიაზე — ის ძალა, რომ

მ ა მ უ ლ ო

საყვარელი

ხალხით სავსე დიდ დარბაზში, სადაც აქამდე დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ თვითეულ ორატორს, უეცრად ერთსულოვანი, ჯანსაღი სიცილი გაისმა.

მივიხედ-მოვიხედე, მიზეზი ჩემთვის გამოუცნობი იყო.

რა მოხდა?

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იასონ ქრისტესიაშვილმა წამიჩურჩულა:

— ახლა რომ სიტყვას ამბობს, ეგ ჭაბუკი ამირან ვახტანგაშვილია, წინა ორატორის ძმა... ძმებმა სიტყვა ერთად აიღეს, ამაზე გამხიარულდნენ...

ძმების ვაჟაცური პირობა, მათ ზედიზედ რომ წარმოთქვეს, ყველას ესიამოვნა,

ამირან ვახტანგაშვილმა წინა ორატორთაგან ყველაზე მაღალი შეპირება მისცა თანასოფლელებს:

— ჰექტარზე მოვიყვან 90 ცენტნერ სიმინდს!

მოწონების ტაშს ხმა როცა მიწყნარდა, ჭაბუკმა ყველას გასაგონად დაუმატა: 90 ცენტნერი იქნება მარცვლად, ამხანაგებო!

ისევ ტაში. ქმაყოფილების შეძახილი, გამოვიდნენ სხვებიც.

— სიტყვა ეძლევა ჩვენს მოწინავე მწველავს ცირა ვახტანგაშვილს...

ნაწნავებიან ქალიშვილს ღიმილი და ხმაური აადევნეს.

— ოთარისა და ამირანის დაა, — მითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, დაინტერესება რომ შემატყო.

ერთი ოჯახიდან სამი ორატორი გამოვიდა იმ დღეს ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე: უფროსი ძმა ოთარი— კოლმეურნეობის მემინდვრეობის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი; ამირანი — ამავე ბრიგადის რიგითი წევრი; ცირა— მეძროხეობის ფერმის მწველავი.

როგორც შრომის ადამიანებს სჩვეოდათ, მათ ორი-სამიოდე სიტყვა თქვეს ტრიბუნიდან. უფრო სწორად — ციფრები დაასახელეს.

ოთარის ბრიგადა საერთოდ იბრძოლებს ჰექტარზე სამოცი ცენტნერი სიმინდისათვის!

ამირანის შესახებ ვთქვით — მისი პირობა ბევრს უკარგავს მოსვენებას. და ეს იმიტომ, რომ მთელმა სოფელმა იცის ჭაბუკის მტკიცე ხასიათი. თქვა? მისი ძლიერი მარჯვენაა თავდები! შემოდგომით მივა იმავე ტრიბუნასთან. არც მაშინ გადაღლის მსმენელებს, მოკლედ მოახსენებს — შეასრულე!

ცირა თორმეტ ძროხას უვლის. შარშან თვითეულზე 2.111 ლიტრი რძე მიიღო. ახლა მისი სიტყვა ასეთია — წელს 2.500 ლიტრი!..

ეკა ვახტანგაშვილი — ოჯახის დედა, მუყაითი, გამრჯე დედა უსმენს შვილების მსჯელობას და უხარია...

თონეიდან ცხელ პურებს ამოყრიდა, ჩამოურიგებდა...

გვიან დაბრუნდებოდა მინდვრიდან დაღლილი, დიდურ სითბოს და ალერსს არ მოაკლებდა პატარებს.

სადღესასწაულოდ ახლებით შემოსაჯდა.

მკის დროს გაიყოლებდა. აჩვენებდა, საიდან მოდის დაბრაწული, სურნელოვანი ქართული პური.

პატარაობიდანვე ხედავდნენ შვილები მშრომელ ადამიანს, მის ტრიალს მინდორში. მათს ცნობისმოყვარე თვალებს გულში, თვით სისხლში გადაჰქონდა შრომის სიტკბოება.

გამრჯე ადამიანს იშვიათად გამოუვა უსაქმური, ფუქსავატი შვილი.

მუქარით, მშრალი დარიგებით ადამიანს შრომას ვერ შეაყვარებ.

ეკას შვილებით მთელი სოფელი ამაყობს.

კიდევ სამი შვილი ჰყავს ეკას: ომარი, თინა, ნელი. ისინი შედარებით პატარები არიან, სწავლობენ.

მხოლოდ ნინდვრის სიყვარულს როდი ასწავლიდა დედა შვილებს. ცოდნა ძალას აათკეცებსო, ეტყოდა ხოლმე იგი მათ.

ამირანმა და ცირამ შობლიური სოფლის საშუალო სკოლა დამთავრეს.

ცხოვრების გზაჯვარედინზე მათ ზოგიერთივით არ წაუბორძიკიათ, არ დაბნეულან. დაუყოვნებლივ ამოუდგნენ მხარში შრომისმოყვარე თანასოფლელებს. ეს ახლა არავის უკვირს ერიდში, სადაც საკოლმეურნეო წარმოებაში ასორმოცდაათამდე საშუალოსკოლადამთავრებული ჰაბუკი და ქალიშვილია ჩაბმული.

ცირა ვახტანგაშვილს მიაჩნია, რომ ფერმაში შრომა უფრო მეტ ცოდნასაც მოითხოვს. ჭკვიანმა ქალიშვილმა კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში განაგრძო დაუსწრებლად სწავლა, ახლა მეოთხე კურსზეა. იმავე ტექნიკუმში სწავლობს დაუსწრებლად მეოთხე კურსზე ამირანიც.

ყველა ხედავს, რომ ცოდნა უფრო აადვილებს და ნაყოფიერს ხდის შრომას.

უფროსი ძმა ოთარი დიდი ხანი არ არის, რაც ბრიგადირად დაწინაურეს. ექვსიოდე წლის წინათ მომბმელად მუშაობდა ტრაქტორზე. დაკვირვებული, საქმეში ჩახედული ვაჟკაცია. სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა და სხვა პროგრესული სამუშაოები ბრიგადირისგან ტექნიკის ცოდნასაც მოითხოვს. ამიტომ სწორი იყო კოლმეურნეთა არჩევანი, მესამე ბრიგადის სათავეში ოთარ ვახტანგაშვილი რომ დააყენეს.

— კახეთში ყოფნის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა მოიწონა და მხარი დაუჭირა იმათ, ვისაც წელიწადში მოჰყავს მეორე მოსავალი სიმინდის თესვის გზით. — მსჯელობენ ოთარ ვახტანგაშვილის ბრიგადაში. — ეს ღონისძიება ჩვენთანაც საკმაოდ გამართლებულია. ორი მოსავალი ადრეც მოგვიყვანია და ამიერიდან უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ.

შარშან კოლმეურნეობამ 24 ჰექტარ ნაწვეულზე დათესა სიმინდი. შესანიშნავი ყანა იყო. წელს ამავე წესით უკვე 115 ჰექტარი დაითესება.

ყურადღების ცენტრში სიმინდი იქნება, მაგრამ ოთარ ვახტანგაშვილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გააძლიეროს ღონისძიებანი სხვა კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლადაც.

ეი საბრძოლო ციფრებიც:

— შაქრის ჭარხალი ჰექტარზე — 400 ცენტნერი!

— ყურძენი — 130 ცენტნერი!..

იოლი როდია გზა, რომლითაც მოსავლიანობის მაღალ ციფრებს უნდა მისწვდე, მზეში უნდა დაიწვა. ოფლი ღვარო... იქნება ნამდვილი შრომა, მინდვრად ბრძოლა იქნება! აი ამისათვის უნდა იყო მზად!

ვიდრე დროა, სათესლე სიმინდის პირდაპირ თვითეულ ტაროზე მსჯელობენ ოთარი, ამირანი და ბრიგადის სხვა წევრები. ერთხელ კიდევ აპრწმენენ მანქანებს, რომლებითაც კვადრატულ-ბუდობრივი თესვა უნდა ჩატარდეს. მინდვრად გაიქვთ დიდძალი ორგანული სასუქი.

ვახტანგაშვილების ოჯახის დედა — ეკა მოთვალთვალის როლში როდი გამოდის. ის მეძროხეობის ფერმის კარგი მეხბორეა. დედას ფერმაში ხშირად მიაკითხავენ ხოლმე სკოლიდან წამოსული შვილები. ეხმარებიან ხბოების მოვლაში...

საღამოს, როცა შინ თავს მოიყრიან ოჯახის წევრები, ყველას აქვს საკმელი, და უნდა წარმოიდგინოთ, რა სითბო და სიამე ტრიალებს ჭერქვეშ!

ეს ერთი უბრალო ოჯახიც ამაყობს იმით, რომ მათი სოფლის — ერედვის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (სტალინირის რაიონი) ყოველთვის პირნათელია სახელმწიფოს წინაშე. ამ სიამოვნებას სრულყოფს კოლმეურნეთა ოჯახებში შესული დოვლათიც.

გასულ წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე ეკა ვახტანგაშვილის ოჯახმა ავანსად ჭიღო ოთხ ტონამდე მარცვლეული, 184 კილოგრამი ყველი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, აგრეთვე ფული.

რაცა ახალი ვალდებულებები შესრულდება, მაშინ სახელმწიფოც და ოჯახიც უფრო მეტს მიიღებს. ამ შეგნებით შრომობს პატიოსნებით ამაღლებული ვახტანგაშვილების ოჯახი. პატარა ლიახვის ხეობაში დგას მათი უბრალო კერა, კერა გაჩაღებული!

მამულო, შენს სპეტაკ სიყვარულს შთაგონებია ამ კერისთვისაც ქვეყნის შვილების მოვალეობა, რომელიც რთულიც არის და საამაყოც.

ლადო გელაშვილი.

გ ურჯაანის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში წარმატებით ეწევიან საგაზაფხულო თესვისათვის. **ხურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) კოლმეურნე — მესიმინდე ი. ქოროლლიშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. შაშიაშვილი, კოლმეურნეობის აგრონომი ი. იმერლიშვილი სათესლედ არჩევენ სიმინდის ტაროებს.

ფოტო ი. კვირიკაშვილისა.

კ ა რ გ ი წ ა მ ო წ ყ ე ბ ა

სოხუმი. აფხაზეთის ასსრ აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროს დარანის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა გახსნა ავტოსაბურავების შემკეთებელი საამქრო. ახალი საამქრო მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ავტოსატრანსპორტო კანტორებს და ავტომანქანების ინდივიდუალურად მფლობელებს.

საამქროს აქვს საშრობი, წებოს დასამზადებელი, საქვაბე და მოწყობილობა-დანადგარების ოთახე ბი. დანადგარების ოთახში მოთავსებულია გაუმჯობესებული კონსტრუქციის ხუთი წნეხ-ფორმა. მაგალ ორი განკუთვნილია ავტომანქანა „ვოლგის“ საბურავებისათვის, ხოლო თითო-თითო „პობედის“, „მოსკვიჩი-407“ და „გაზ-51“ მარკის ავტომანქანების საბურავებისათვის.

ახალი საამქრო დაკომპლექტებულია საქმით დაინტერესებული კვალიფიციური სპეციალისტებით. საამქროს გამგემ ტ. განუგრავამ მოსამზადებელი კურსები გაიარა მოსკოვის საბურავშემკეთებელ ქარხანაში, ხოლო ვულკანიზატორმა გ. ხუბულაშვილმა — ლენინგრადში. საამქროს მანქანა-დანადგარების შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს მექანიკოსი ვ. სივოკაშვილი. წარმატებით შრომობს აგრეთვე ვულკანიზატორი გ. არუთინიანი.

(საკ. კორ.).

ს ა რ ე ვ ე ლ ე ბ ი

„უნდა შევქმნათ შეურიგებლობის, საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფერო იმათ მიმართ, ვინც ხალხს ატყუებს“.

ნ. ს. ხრუშჩოვი

1.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მისაღებ ოთახში ორი ქალი შემოვიდა. ერთი მათგანი იქვე კართან გაჩერდა, მეორე ორმოცდაათოდე წლის ჭაღარათმიანი ქალი შინაურულად მიუახლოვდა მდივანს და დაბალი, ტკბილი ხმით უთხრა:

— შვილო, თავმჯდომარე არის?

— არა.

— შენი ჭირიმე, შვილო! ბინის თაობაზე ვარ გამოძახებული, ამ დასტა ქაღალდებში მთელი ჩემი საბუთები მაქვს შენახული, თავმჯდომარეს უნდა ვანახვო. რომ არ დამეკარგოს, აგერ თქვენს მაგიდაზე დავდებ, მე კი კანცელარიაში გავივლი. ეგებ თავმჯდომარე დაბრუნდა, შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე, შევიხედავ ერთი. — ამის თქმა და ჭაღარათმიანი ქალი თავმჯდომარის კაბინეტის ნახევრადღია კარში ისე სწრაფად შევიდა, რომ მდივანმა ამ უცნაური ქალის გაფრთხილებაც ვერ მოასწრო.

თავმჯდომარის კაბინეტიდან ქალი სწრაფად გამოვიდა და წავიდა ისე, რომ მდივანი ქალის ძახილი უკან წაეღო ხაბუთები თითქოს ვერ გაიგონა. მეორე ქალი, რომელიც ჭაღარათმიანს კართან უცდიდა, ძმაყოფილი სახით გაჰყვა მას.

როდესაც საქალაქო საბჭოს შენობიდან გამოვიდნენ ამ ორ ქალს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ხომ შეხედე, ჩემო ეკატერინე, როგორ ჩავაბარე შენი ფული 58.000 მანეთი თავმჯდომარის მდივანს. იმასაც ხომ შეხედე, თავმჯდომარის კაბინეტში რომ შევედი, შენი თავი გავახსენე და ვუთხარი ფული მდივანს დავუტოვე-მეთქი. ახლა დამშვიდდი, ოთხ თვეში დამთავრდება ჭაკვაკაძისა და კაკაძის ქუჩის კუთხეში ახალი ბინის მშენებლობა, და მეორე სართულზე ორი ოთახი შენია.

და მართლაც ეკატერინე ბიბილურმა, იმ იმედით, რომ სულ მალე ახალ ბინაში შევიდოდა, დამშვიდებით გახეზა შინისაკენ.

ჭაღარათმიანმა ქალმა ერთხანს უყურა მიმავალ ე. ბიბილურს და როდესაც იგი თვალთაგან მიეფარა, სწრაფი ნაბიჯებით შებრუნდა საქალაქო საბჭოში. კვლავ თავმჯდომარის მდივანთან მივიდა და დატოვებული საბუთები უკან წამოიღო.

ვინ იყო ეს ჭაღარათმიანი ქალი?

ნინო მოწონელიძე. მას მოსწყინდა ამბროლაურის რაიონის სოფელ ღვარდიანში ცხოვრება და თბილისში ჩამოვიდა.

ერთხანს მუშაობას მოჰკიდა ხელი, მაგრამ საქმეს გული ბოლომდე ვერ დაუდო და იოლი ცხოვრება — თაღლითობა და აფერისტობა ამჯობინა, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ყველას ეგონა, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ნ. მოწონელიძე გამოსწორდებოდა, მაგრამ მან კვლავ მოლიპული გზით სიარული ამჯობინა.

როგორც კი დილის 10 საათი შესრულებოდა, ნინო მოწონელიძე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისაკენ გაემართებოდა. ჩამოოვლიდა გრძელ დერეფნებს, საათობით იჯდა სხვადასხვა განყოფილების მისაღებ ოთახებში და ყურს უგდებდა მთხოვნელთა საუბარს. როგორც კი მისი აზრით შესაფერ საკბილოს ამოარჩევდა, გამოელაპარაკებოდა. ტკბილ მუსაიფს გაუმართავდა, თავს გააცნობდა აღმასკომის თავმჯდომარის ახლო ნათესავად და შეპირდებოდა საქმის „გაკეთებას“, ბინების მიცემას.

ასე წამოეგო თაღლითის ანკესზე სასტუმრო „რუსთაველის“ სართულის გამგე ე. ბიბილური, რომელსაც ნ. მოწონელიძემ 58.000 მანეთი დასტაფა.

საკვირველი ის არის, რომ ეს გაქნილი თაღლითი ბინების მიღებისა და გადაცვლის დაპირებით ატყუებდა ისეთ პირებს, რომლებიც კარგად იყვნენ გარკვეული ბინების მიღებისა და გადაცვლის წესში. მაგალითად „მთავართბილისმშენის“ თანამშრომელმა ი. ტრაპაიძემ 10.000 მანეთი ჩაუთვალა ნ. მოწონელიძეს, რათა მისთვის მოეგვარებინა ბინის გადაცვლა.

ექიმთა დაზღვევების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრის ექიმმა თ. ზალდასტანიშვილმა თაღლითს „ავანსის“ სახით ბინის გადაცვლისათვის 10.000 მანეთი ჩაუთვალა, რესტორან „დინამოს“ თანამშრომელმა ჭ. რამიშვილმა 20,000 მანეთი, ხოლო ავიაციის თადარიგის მაიორმა შ. აბუსერიძემ 30.000 მანეთი.

მალე ნ. მოწონელიძე იმდენად დახლოვნდა სხვადასხვა საქმიან ოპერაციებში, რომ ბინების „გაცემისა“ და „გადაცვლის“ გარდა ხელი მოჰკიდა კიდევ უფრო სარფიან საქმეებს. სამინეო-სამშენებლო კოლექტივებისა და კოოპერატივებს ჰპირდებოდა ხე-ტყისა და სხვა საშენი მასალების შოვნას. წინასწარ ართმევდა ფულს ამ მშენებლობათა ხელმძღვანელებს, გულუბრყვილო მოქალაქეებს ჰპირდებოდა პროკურატურასა და სასამართლო ორგანოებში საქმის „გაკეთებას“, პასპორტების გამოცვლას, თბილისში ჩაწერას, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. გარდა ამისა, დაკავშირებული იყო ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქში აფერისტებთან და საეკვო პირებთან. მაგალითად, საქმიან კავშირში იყო ქ. ტალინში ვინმე ი. ვ. ნეგლისთან. ეს უკანასკნელი ნ. ა. მოწონელიძის საშუალებით ცდილობდა ქ. თბილისში 100.000 მანეთად გაეყიდა ლატარიის ბილეთი, რომელსაც ავტომანქანა „ვოლგა“ ხვდა მოგებად.

ხალხისაგან წანაგლეჯი და დატყუებული ფულით მალე ნ. მოწონელიძემ ქ. თბილისში გვაზაურის ქუჩაზე (№ 66) საკუთარი სახლი ააგო. შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც თვითონ მართავდა.

ხათანადო ორგანოებისათვის ცნობილი გახდა გაქნილი თაღლითისა და აფერისტის ნ. მოწონელიძის „მოღვაწეობა“, და იგი დააპატიმრეს. გამოძიების დროს მისი ბინის გაჩხრეკისას აღმოჩნდა 150 ცალი წერილობითი ხაბუთი სხვადასხვა მოქალაქეებისაგან ფულის მიღების შესახებ, აგრეთვე შეუვსებელი უწყებები სახალხო-პროკურატურის ორგანოებში მოქალაქეთა გამოძახების შესახებ, პასპორტები, ჩაწერის ბლანკები და სხვა დოკუმენტები. დღეისათვის გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ნ. მოწონელიძემ მოქალაქეებს თაღლითური გზით 200.000 მანეთი გამოსტაცა. გამოძიება გრძელდება.

2.

ასეთივე ფართო „მოღვაწეობას“ ეწეოდნენ **ლუსია სარქისის ასული მატინოვა** და **ანუშევან გეორქის-ძე არუთინოვი.** გაურბოდნენ რა საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას, მათ ხელობად გაიხადეს თაღლითობის გზით მოქალაქეთა მოტყუება, რისთვისაც „ორიგინალური“ მეთოდი შეიმუშავეს. ა. არუთინოვი დადიოდა და ყველგან ავრცელებდა ხმებს მატინოვას ყოვლისშემძლეობაზე, თითქოს მას „დიდ ხალხთან“ ჰქონდა საქმე და ყოველგვარი საქმის გაკეთება შეეძლო. ამ ხერხით ა. არუთინოვი თავის ბადეში აბვევდა გულუბრყვილო ადამიანებს და მიჰყავდა ისინი ლ. მატინოვას ბინაზე, სამტრედიის ქუჩაზე № 11 სახლში. მატინოვამ ს. ვარრანოვასა თავის ბინაზე გამოართვა 23.000 მანეთი და შეპპირდა, რომ ამ თანხას გადასცემდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც თითქოსდა ბინას მისცემდა ს. ვარრანოვას.

ასეთივე ხერხითა და მოტყუებით მატინოვამ და ა. არუთინოვმა თ. ამიროვს გამოართვეს 15.000 მანეთი, ს. კუძიევს 45.000 მანეთი. ე. დარბინიანი უფრო მიმწდომი აღმოჩნდა და თაღლითს 50.000 მანეთი ჩაუთვალა. ა. სიმონიშვილს გადმოართვეს 30.000 მანეთი. უფრო „წინდაბედული“ და „ფრთხილი“ აღმოჩნდა მ. ნადირაძე.

— აბა ჩამოდი 35.000 მანეთს და 5-6 თვეში მეორე ნარიულზე მზიან, ნათელ ოთახს მიიღებ, — უთხრა მას ლ. მატინოვამ.

ტკბილმა დაპირებამ მოხიბლა მ. ნადირაძე, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ის იყო ფულის ამოღებას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და ლ. მატინოვას მხოლოდ 10.000 მანეთი მისცა. დანარჩენს მიცემას კი მაშინ შეპპირდა, როცა ახალ ბინას „მიიღებდა“.

— ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, — თქვა ლ. მატინოვამ და 10.000 მანეთი შეინახა ჯიბეში.

თაღლითებმა ლ. მატინოვამ და ა. არუთინოვმა ამ გზით სხვადასხვა პირებს 250.000 მანეთი დასტაფეს.

ეს გარეწრები მარტო ბინების „გაცემით“ როდი კმაყოფილდებოდნენ. სხვადასხვა პირებს ჰპირდებოდნენ ქალაქში გაწერას, პასპორტების გამოცვლას, სამსახურში „თბილ“ ადგილზე მოწყობას, პენსიის საქმის მოგვარებას.

3.

შ. მენთეშაშვილმა ქურდობისათვის სასჯელის მოხდის შემდეგ პროფესია „შეიცვალა“ და თაღლითობას მიჰყო ხელი. კეთილ დედიკოებსა და მამიკოებს აღუოქვამდა მათი სწავლაში ხელმოცარული შვილების უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. ეი ერთი ეპიზოდი შ. მენთეშაშვილის საქმიანობიდან.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის მცხოვრები ნადია ბალაშვილი აივანზე გამოსულიყო და ნამტირალევ თვალებს იწმენდდა.

ამ დროს ეზოს ჭიშკარმა გაიჭრიალა. ნადიამ ცხვირსახოცი სწრაფად დამალა და აივნიდან გადაიხედა. ეზოში ახლო მეზობელი ნუნუ დათუკიშვილი შემოვიდა.

ნადიამ განაგრძო ნამტირალევი თვალების წმენდა და მეზობელს შესჩივლა.

— რაღა ვქნა, ჩემო ნუნუ, რა მეშველება, ჩემს ბიჭი ჯემალი კიდევ ვერ მოხვდა ინსტიტუტში, ქულები დაკალეს.

— შე ქალო, მერე მაგან დაგამწყრახა. ისეთი კაცი გაგაცნო, შვილს სადაც გინდა იქ მოგიწყობს. აგერ ოთხებ ლომაშვილის ბიჭმა თენგიზმაც ვერ ჩაბარა უმაღლესში. [illegible] — ჩემო ნაცნობი აწყობს.

— არიქა, [illegible] ჭირიმე, [illegible] გავუ[illegible] და, ოღონდ [illegible] ჩემი შვილი [illegible] მოაწყოს უმაღლესში.

მალე [illegible] ნადიამ [illegible] ქალაქი [illegible] — [illegible] ყვანა თბილისში მის ნათესავთან [illegible] ბაშვილს [illegible] მოეწყო [illegible]

— თქვენ ფული დააწყეთ და მაგათი მოწყობა ჩემზე იყოს, — დაიმედა აფერისტმა დედები. მართლაც ნ. ბალაშვილმა 23.000 მანეთი და ე. ლომაშვილმა 20.000 მანეთი ჩაუთვალეს შ. მენთეშაშვილს.

შ. მენთეშაშვილმა ჯ. ბალაშვილი და თ. ლომაშვილი წაიყვანა მოსკოვში და საიდღანაც უშოვნა მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის სტუდენტის ბილეთი და ჩათვლის წიგნაკი და ამით ამოწურა მათი მოწყობა უმაღლეს სასწავლებელში.

4.

გიორგი ჭინჭარაულმა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კიდევ უფრო „სამადლო საქმეს“ მოკიდა ხელი—დამნაშავე პირთა განთავისუფლებას პატიმრობიდან.

1956 წლის 27 აგვისტოს მცხეთის რაიონის სოფელ კეკლიანის მცხოვრებმა ნ. ქეთელაურმა შექმნა შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფი, რომელიც დაბედა სოფელ მარტყოფის მახლობლად მიმავალ მგზავრებს და ძარცვის დროს შაშხანით მოკლა ლ. გეგინაშვილი და მძიმედ დაჭრა თ. გუგუნიშვილი.

მალე ნ. ქეთელაური დაპატიმრებულ იქნა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ მას მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა— დახვრეტა. განაჩენი ნ. ქეთელაურის მამართ სისრულეში იქნა მოყვანილი.

და აი ნ. ქეთელაურის დედასთან ძილა ქეთელაურთან გამოცხადდა გ. ჭინჭარაული. მოხუც დედას მან აღუთქვა, რომ მის შვილს იხსნიდა მოსალოდნელი სასჯელისაგან, თუ გარკვეულ თანხას მიიღებდა.

დატრიალდა ძ. ქეთელაური, გაყიდა პირუტყვი და სხვადასხვა ნივთები, ისესხა მეზობლებისაგან ფული და 10.500 მანეთი გადასცა გ. ჭინჭარაულს.

როგორც კი ფული ხელთ იგდო, გ. ჭინჭარაული სწრაფად მიიმალა. უკანასკნელ ხანებში იგი მუშაობდა ვაშლოვანის ნაკრძალის მეცნიერ მუშაკად.

* * *

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალ ცხოვრებას. ჩვენი ადამიანების მთელი ფიქრი მიპყრობილია ხალხისათვის კეთილშობილურ, სასახელო საქმეებისაკენ. მაგრამ არიან თანდათანობიც, ჩვენი ცხოვრების ხორცმეტები, რომელთაც ხელობად გახდილი აქვთ სხვის ხარჯზე უშრომლად ყოფნა.

ამ უკანასკნელ პერიოდში პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად საგრძნობლად შემცირდა დანაშაულობანი, ზარმაცების, ხულიგნების, მუქთახორების, პარაზიტული ელემენტების რიცხვი.

ამ საქმეში, უთუოდ, დიდი როლი შეასრულეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ბევრი მოქალაქე, რომელიც გზას ასცდა, საზოგადოებრივი ზეგავლენით, კოლექტივის მზრუნველობით გამოსწორდა და კვლავ მოწინავე მშრომელთა რიგებში ჩადგა, მაგრამ როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც თაღლითობს ხელს უწყობენ ზოგიერთი მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი გულუბრყვილობითა და სიბეცით ნაკლებ დანაშაულს როდი სჩადიან. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 124 მუხლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ „ქრთამის მიცემა, აგრეთვე მექრთამეობაში შუამავლობა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე“.

პარტია მიგვითითებს იმის აუცილებლობაზე, რათა თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა კარგად გაიგოს თავისი ადგილი დღევანდელ ცხოვრებაში და ყველაფერი გააკეთოს ჩვენი სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ.

მ. თოფურიძე,
საქართველოს სსრ პროკურორი.

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ქუთაისი. (საკ. კორ.). შედგა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ე. ა. ტაკიძე გაათავისუფლა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

პლენუმმა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. ს. კობახიძე, მეორე მდივნად ამხ. ს. ი. ფხაკაძე, მდივნად— ამხ. თ. ზ. ვარდანაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. დ. დუმბაძემ.

გ უ ღ ი ს

მ ე ს ა ი დ უ მ ლ ე

მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული პროპაგანდისტი, იდეოლოგიური ფრონტის თვითეული მუშაკი კარგად ერკვეოდეს ეკონომიკის საკითხებში, იცნობდეს წარმოების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, შეეძლოს უნარიანად დაუპირისპირო პარტიის თეორიის, ისტორიისა და პოლიტიკის საკითხების გაუშვება აქტუალურ პრაქტიკულ ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის დადგენილებიდან.

ოდნავ უჩვეულო ვითარებაში მოგვიხდა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანაში პროპაგანდისტ შ. გურაბანიძესთან შეხვედრა: ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო ამ ქარხანაში გამართულ მიტინგზე მშრომელთა აღშფოთებისა და გულისწყრომის ხმა კონგოელი ხალხის გმირის პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების ვერაგული დახოცვის გამო, რომ გამოცდილმა პროპაგანდისტმა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის მასალებისადმი მიძღვნილ დასკვნის მეცადინეობაზე მიგვიწვია.

ქარხნის მთავარი ინჟინრის შალვა გურაბანიძის კაბინეტში გამოიცოცხლეთ: მოდიან მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები.

მსმენელებს სურთ შეხვდნენ პროპაგანდისტს, ჩვენი დღევანდელობის ამბავი გაიგონ, საერთაშორისო ვითარების რთულ საკითხებში გაერკვნენ, შეიტყონ, რა ითქვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, რა სისწრაფით მიჰქრის რაკეტა პლანეტა ვენერისაკენ და სხვ.

მეცადინეობაზე დასწრებით წათელი გახდა, რომ პროპაგანდისტსა და მის მსმენელებს გულდასმით შეუსწავლიათ თათბირის მასალები; შ. გურაბანიძის განკარგულებაშია მდიდარი ციფრობრივი მასალა, თვითნაკეთი თვალსაჩინოება, კონკრეტული ფაქტები ქარხნის შრომის საქმიანობაზე.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მეტად მოხდენილად ჩატარებულმა პოლიტიკურმა ინფორმაციამ, პროპაგანდისტი სათანადო ანალიზს უკეთებს საერთაშორისო მდგომარეობას; საუბარი რეკის მომარჯვებამ, ჟურნალ-გაზეთებიდან ზოგიერთი ციფრობრივი, მასალისა და თვალსაჩინოების მოყვანამ მეტად ცოცხალი და შთამბეჭდავი გახადა.

პროპაგანდისტმა მოხდენილად დასვა კითხვა: რით არის საინტერესო მემდინარე მომენტი? ახლა პროპაგანდისტის როლში ზოგიერთი მსმენელი გამოვიდა. ერთმა მრავალსაფეხურიანი რაკეტისა და ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის შექმნასა და მისი პლანეტა ვენერისაკენ გაშვებაზე ისაუბრა, მეორე თავის აღშფოთებას გამოთქვამდა პატრის ლუმუმბის ავაზაკური მკვლელობის გამო; ერთი სიტყვით, სასაუბრო ბევრი იყო. პროპაგანდისტმა ახლა მსმენელთა აქტივიზაციის ნაცად ხერხს მიმართა:— შეკითხვები ხომ არა გაქვთო? — გამოიცოცხლდა აუდიტორია. დაისვა კითხვები: რა წვლილი უდევს ჩვენს ქარხანაში დამზადებულ ხელსაწყო-იარაღებს კოსმოსის შესწავლის საქმეში? რათ აგებენ იმპერიალისტები თურქეთში სამხედრო ბაზებს? და სხვ.

პროპაგანდისტმა გურაბანიძემ თანმიმდევრულად, ღრმად და ამომწურავად გასცა პასუხი დასმულ კითხვებზე, განაცოცხა არის სათქმელი, განა უჩვეულოა, რომ სწორედ ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალს აინტერესებდეს კოსმოსის დაპყრობის ამბავი?

ჩვენი აღტაცება და ძმაყოფილება უსაზღვრო იყო, როცა პროპაგანდისტმა მსმენელებს მოაგონა, რომ აქ, ამ ქარხანაში დამზადებულ ხელსაწყო-იარაღებს ფართოდ იყენებენ,

პოლიტინფორმაციის შემდეგ შ. გურაბანიძე აწყობს დასკვნითს მეცადინეობას კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მასალებზე. პროპაგანდისტი სწორ ანალიზს უკეთებს თათბირის მასალებს, განუმარტავს მსმენელებს თანამედროვე ეპოქის განმასხვავებელ ნიშანს, სოციალიზმის ბანაკის ძლიერებას უჩვენებს არა მარტო ციფრობრივი მონაცემებითა და ზოგადი დებულებებით, არამედ მეტადვალი მაგალითებითა და ფაქტებით, რომლებიც პროპაგანდისტს აღებული აქვს სხვადასხვა ცნობარებიდან, კრებულებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურიდან,

ბას“, პასპორტების გამოცვლას, თბილისში ჩაწერას, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. გარდა ამისა, დაკავშირებული იყო ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქში აფერისტებთან და საეჭვო პირებთან. მა

ა. ნ. კოსიგინი ინდოეთში

კალკუტა, 24 თებერვალი. (საკდესი). ღღეანდელ დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც გუშინ კალკუტაში ჩამოვიდა, გაეცნო ქალაქს—დასავლეთ ბენგალიის შტატის ადმინისტრაციულ, კულტურულ და ეკონომიურ ცენტრს.

ა. ნ. კოსიგინი ეწვია სრულიად ინდოეთის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტს.

ერთ-ერთ დიდსა და ნათელ დარბაზში, სადაც დადგმულია ელექტრონ-საანგარიშო და საანგარიშო-საანალიზური მანქანები, ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ერთ-ერთ მანქანასთან. მანქანას წარწერა აქვს რუსულ ენაზე: „უნივერსალური ავტომატური ციფრული გამოსათვლელი მანქანა „ურალი“. 1957 წლის გამოშვება“.

ელექტრონ-გამოსათვლელი მანქანის „ურალის“ სამართავ პულტს უზის ახალგაზრდა ინდოელი ქალი რება ბჰატასალი.

— კარგი მანქანაა? — ეკითხება მას ა. ნ. კოსიგინი.

— კარგია, — უპასუხებს რება ბჰატასალი.

— ძალიან კარგია, — იმეორებს იგი რუსულად.

— დიდად მოხარული ვართ, — ეუბნება მაპალანობისს ა. ნ. კოსიგინი, — რომ ამ მანქანაზე ამზადებთ საკუთარ კადრებს.

ერთ-ერთ აუდიტორიაში, სადაც შეიკრიბნენ ინსტიტუტის სტუდენტები და ასპირანტები, ისმის ინგლისური ლაპარაკი და ცალკეული რუსული სიტყვები: ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ვ. ბრატუსი კითხულობს ლექციას „როგორ შევისწავლოთ რუსული ენა“. ა. ნ. კოსიგინი გულთბილად მიესალმა პროფესორსა და სტუდენტებს და უსურვა სწავლასა და მუშაობაში.

ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა საპატიო სტუმართა წიგნში შემდეგი ჩაწერა:

„ინსტიტუტი შესანიშნავი სამეცნიერო დაწესებულებაა, კადრების სამჭედლოა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დარწმუნებული ვართ თქვენი სახელმწიფოსა და ხალხების წარმატებებსა და პროგრესში.

ჩვენ საუკეთესო მოგონებად დაგვრჩება ინსტიტუტში ყოფნა. კოსიგინი. 1961 წლის 24 თებერვალი“.

მოგვიანებით ა. ნ. კოსიგინი გაეცნო კალკუტის ისტორიულ მუზეუმსა და კალკუტის ბოტანიკურ ბაღს.

კალკუტა, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ინდოეთის საერთაშორისო კლუბის წევრებმა გამართეს დიდი დარბაზობა ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად.

კალკუტა, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საღამოს ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ეწვია საბჭოთა გემ „ვიტიაზს“, რომელიც ამას წინათ კალკუტის ნავსადგურში მოვიდა. მეცნიერები, რომლებიც „ვიტიაზზე“ მუშაობენ, საერთაშორისო გეოფიზიკური თანამშრომლობის პროგრამის მიხედვით დიდ მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას ეწევიან ინდოეთის ოკეანის რაიონში. ა. ნ. კოსიგინის შეხვდა „ვიტიაზის“ კაპიტანი ი. ვ. სერგეევი.

საერთაშორისო მიმოხილვა

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ავსტრალიის მთავრობისადმი

24 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ავსტრალიის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა იმ საკითხზე, რომ საბჭოთა ხელისუფლებს გადასცენ სამხედრო დამნაშავე ვიქსი, რომელიც ავსტრალიაში ცხოვრობს.

ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა საგამომძიებელო ორგანოები სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძაბენ სამხედრო დამნაშავეს ერვინ-რიჰარდ-ადოლფ პეტრეს-ძე ვიქსს, დაბადებულს 1897 წელს, ესტონეთის სსრ ტარტუს მაზრის ვესკის თემის მკვიდრს. გამოძიების მსვლელობაში დადგენილია, რომ 1941 წლის ივლისში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ესტონეთის ოკუპაციის შემდეგ, ვიქსი ნებაყოფლობით შევიდა მასთან სამსახურში, იგი პირადად მონაწილეობდა საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ დახვრეტაში, რაც ტარტუს მახლობლად ხდებოდა. დადგენილია, რომ ამ ქალაქის მახლობლად ტანჭსაწინააღმდეგო თხრილში დახვრეტილ იქნა 12 ათასი კაცი. 1941 წლის ბოლოს ვიქსი დანიშნეს ტალინ-ჰარიუსის პრეფექტურის პოლიტიკური პოლიციის უფროსად, სადაც მისი ხელმძღვანელობით დახვრეტილ იქნა 1.499 საბჭოთა მოქალაქე.

1942 წელს ვიქსი იყო ესტონეთის უშიშროების პოლიციის ბ-IV განყოფილებისა და სდ-ის უფროსი და ხელმძღვანელობდა ოკუპანტების მიერ წარმოებულ სადამსჯელო საქმიანობას, გამოკვეთილად სასიკვდილო განაჩენები, მონაწილეობდა ხვრეტაში.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში ავსტრალიის მთავრობის ყურადღებას მიპყრობს შესაბამისს საერთაშორისო შეთანხმებებზე, რომელთა შესაბამისად სამხედრო დამნაშავენი გასასამართლებლად და დასასჯელად უნდა გადაეცეთ იმ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიაზეც ჩაიდინეს მათ დანაშაულობანი.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ მიღებულ იქნება ღონისძიებანი, რათა საბჭოთა ხელისუფლებს გადასცენ სამხედრო დამნაშავე ერვინ-რიჰარდ-ადოლფ პეტრეს-ძე ვიქსი. (საკდესი).

ასე მტკიცდება მეგობრობა

ულან-ბატორი, 24 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ხალხების მეგობრობა ფოლადივით მტკიცეა, რადგანაც იგი განმტკიცებულია ჩვენი საუკეთესო შვილების სისხლით მონღოლი ხალხის აყვავებისა და კეთილდღეობისათვის ერთობლივ ბრძოლაში, მონღოლი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება ამ მეგობრობას, განაცხადა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ ლ. ცენდმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა მონღოლეთში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტების საზეიმო კრებაზე. კრება მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 15 წლისთავს.

მონღოლეთის მშრომელთა მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, აღნიშნა ლ. ცენდმა, ყველაზე მკაფიო, ყველაზე ხილული განსახიერებაა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისა, რომელიც სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დაიდო ამ 15 წლის წინათ, და ჩვენი მთავრობების შემდგომი შეთანხმებებისა, რომლებიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

კრებას დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. ცედენბალის მეთაურობით. შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ი. ხვოროსტუხინმა.

„ორორი“ ლუმუმბას მკვლელობის შესახებ

პარიზი, 24 თებერვალი. (საკდესი). პარიზის გაზეთმა „ორორმა“ დღეს გამოაქვეყნა თავისი რომელი კორესპონდენტის ინტერვიუ დასავლეთგერმანელ ლეიტენანტთან ჰერდ არნიმთან, რომელიც ჩომბეს უცხოელთა ლეგიონში მსახურობდა. ჰერდ არნიმმა განაცხადა, რომ მან „იცის, როგორ, სად და ვინ მოკლა პატრის ლუმუმბა“.

პატრის ლუმუმბა, ამბობს ჰერდ არნიმი, მოკლეს 18 იანვარს 14 საათსა და 30 წუთზე, ესე იგი სწორედ მეორე დღეს მას შემდეგ, რაც ლეოპოლდვილიდან ელიზაბეტვილში ჩაიყვანეს. მასთან ერთად დახოცეს მისი ორი თანამებრძოლი — თავდაცვის მინისტრი და ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრი მორის მპოლო და კონგოს სენატის თავმჯდომარე ჟოზეფ ოკიტო.

ლუმუმბას მხეცური მკვლელობა, არნიმის სიტყვით, ასე ნოხდა: დაცვის ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ლუმუმბას თავი მიარტყა ევროპელ სატვირთო მანქანის ბორტს, რომლითაც იგი მიჰყავდათ, და შემდეგ ესროლა კეფაში. კონგოს მეთაურმა ბელგიელმა კაპიტანმა მარსელ რიუმ ლუმუმბას პისტოლეტი ესროლა თავში და მოკლა.

მოკვლის წინ ლუმუმბა სასტიკად ცემეს, ლუმუმბას ყურებიდან და ცხვირიდან სისხლი სდიოდა, იგი უსათვალოდ იყო, წვერი წაჭრილი ჰქონდა.

არნიმის დამოწმებით, პატრის ლუმუმბას, მპოლოსა და ოკიტოს გვამები სატვირთო მანქანით მიიტანეს სამხედრო ბანაკში, რომელიც კატანგის ჯუნგლში მდებარეობს, იქიდან გადაიტანეს სოფელ კაოტაში კამინის მახლობლად. ამ სოფლის გარეუბანში გვამები დამარხეს 19 იანვარს დილის 4 საათზე.

ჩვენ, თქვა არნიმმა, ვმოქმედებდით ჩომბეს განკარგულებით, რომელმაც უბრძანა ჩემს რაზმს სამხედრო ბანაკში დაუყოვნებლივ დაემარხა დახოცილნი.

თვითონ არნიმი გამოიქცა კატანგიდან, საფრთხე ემუქრებოდა რა მის სიცოცხლეს, რადგან იცოდა „ძალიან ბევრი რამ“ პატრის ლუმუმბას მკვლელობის შესახებ. 13 ჯარისკაციდან, რომლებიც ბადრაგობდნენ ლუმუმბას დასჯის ადგილას, განაცხადა არნიმმა, ოთხი უკვე დახვრეტილია ჩომბეს განკარგულებით, სხვებს იგივე ხვედრი მოელით. ბელგიელი კაპიტანი ბარსელ რიუი სამყორობილეში იმყოფება და „საეჭვოა, რომ სამშობლოში დაბრუნდეს“.

ლუმუმბას სახელის უკვდავსაყოფად

ჯაკარტა, 24 თებერვალი. (საკდესი). ჯაკარტის მერმა სუმარნომ წინადადება წამოაყენა — ეწოდოს ინდონეზიის დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას პატრის ლუმუმბას სახელი, რადგანაც, თქვა მან, ეს ყოველთვის მოგვაგონებს შესანიშნავ პატრიოტს.

ფოტო ა. სტუეინისა. (საკდესის ფოტოკორონეა).

კოლონიზაციორები ჯრაგედიას ამზადებენ კონგოში

ბონი იძულებულია მოწყალება მისცეს ვაშინგტონს

პროტესტი ბანაკში

ბანაში ხალხი აღშფოთებას გამოთქვამს კოლონიზატორთა დაქირავებული ჯალათების მიერ კონგოელი ხალხის ეროვნული გმირის პატრის ლუმუმბას და მისი თანამებრძოლების ვერაგული მოკვლის გამო. [illegible] გამოცხადებულია გლოვა. [illegible] ეროვნული [illegible] წუთის დუმილი ლუმუმბას ჩსოონის პატივსაცემად [illegible] ნებაში.

ყველაფერი შეუფერხებლად

ლონდონი, 24 თებერვალი. (საკდესი). ინგლისის ოფიციალური წრეებისა და დასავლეთ გერმანიის ლონდონის საელჩოს ის რწმუნებანი, რომ მაკმილანისა და აქ ჩამოსული ადენაუერის ორი დღის მოლაპარაკება „დამაკმაყოფილებლად“ მიმდინარეობდა, არადამაჯერებელია, როგორც აღნიშნავენ ინგლისის დედაქალაქის დიპლომატთა და ჟურნალისტთა წრეებში, ეს მოლაპარაკება დამაკმაყოფილებლად დამთავრდა მხოლოდ ერთი მხარისათვის — დასავლეთ გერმანიისათვის, მაშინ როცა ინგლისს პრაქტიკულად თითქმის არაფრისთვის არ მიუღწევია.

როდი ხდება

ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ ძირითად საკითხში, რომლის გადაჭრას ცდილობდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი, — ექვსი ქვეყნის საერთო ბაზარში ინგლისის მონაწილეობის პირობების საკითხში, — მაკმილანმა მარცხი განიცადა. როგორც თვითონ ამბობენ, ინგლისი ამ მდგომარეობაში „ბლუ სტრიკის“ ინგლისური რაკეტა.

აკამბის რა მოლაპარაკების შედეგებს, ხელმძღვანელი მაიკლ ჰილტონი პირდაპირ აცხადებს, რომ „ადენაუერის ვიზიტის შედეგად ინგლისდასავლეთ გერმანიის ურთიერთობა გაუარესდა“.

ფაქტები ამხილებენ

რანგუნი, 24 თებერვალი. (საკდესი). რანგუნში აკრედიტებულმა შეერთებული შტატების, ინდონეზიის, ინდოეთისა და ტაილანდის სამხედრო ატაშეებმა დაათვალიერეს ბირმის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი ჩანკაიშეკისა ბანდების ნაშთების წინააღმდეგ ბირმის არმიის ამასწინანდელი ბრძოლების რაიონი.

როგორც ბირმის გაზეთები იუწყებიან, სამხედრო ატაშეებს უჩვენეს გომინდანელებისთვის ჩამორთმეული ამერიკული იარაღი და საჭურველი, მათ შორის 75-მილიმეტრიანი ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, კარაბინები, შაშხანები, ნაღმები, ტანსაცმელი, რადიომოწყობილობა, პარაშუტები, ბენზინის ავზები. გაზეთი „ნეიშნი“ აღნიშნავს, რომ იარაღისა და საჭურვლის დათვალიერების დროს ამერიკელი ოფიცრები სურათს უღებდნენ მხოლოდ ძველი ნიმუშის იარაღს და თავი აარიდეს შენიშვნებს, როცა მათ უჩვენეს ამერიკული წარმოების უახლესი იარაღი. ოფიცერთა ჯგუფმა დაათვალიერა აგრეთვე ამერიკული იარაღის საწყობები კენგლაპში, გომინდანელთა ყოფილ ბაზაში.

ბირმის გაზეთები იუწყებიან, რომ რანგუნში მზადდება ნადავლი ამერიკული იარაღისა და საჭურვლის გამოფენა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **არგენტინის** ლა-პლატას ნავსადგურის დოკში სარემონტო სამუშაოების დროს აფეთქდა ტანკერი „ფლორენტინო ამეგინო“ 10.878 ტონა წყალწყვისა, ეკიპაჟის ოთხი წევრი დაიღუპა და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

☐ **შოტლანდიაში** გაიზარდა სიკვდილიანობა გრიპით დაავადების შედეგად. ამ ქვეყნის 17 დიდ ქალაქში გასულ კვირას გრიპით გარდაიცვალა 31 კაცი.

☐ **ამჟამად** დასავლეთ ბერლინის გრუნეველდის რაიონში მიმდინარეობს სამხედრო მანევრები, რომლებშიც მონაწილეობას იღებს დაახლოებით 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი ამერიკის ჯარების შემადგენლობისა, რომლებიც დასავლეთ ბერლინში არიან განლაგებულნი.

☐ **შვეიცის** პრესაში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, შვეიცამ 1960 წელს ააშენა 87 გემი 710.659 ტონა საერთო წყალწყვისა და გემების წარმოების მხრივ მსოფლიოში მეოთხე ადგილი დიაკავა. (საკდესი).

სამხედრო დამნაშავე პატივშია

ვენა, 24 თებერვალი. (საკდესი). ვენის პროგრესული გაზეთი „დერ კლაინე ლანდფერტი“ დღეს აღშფოთებით იუწყება, რომ სამხედრო დამნაშავე ფრანც მურერი დანიშნეს ლიცენის რაიონის (ტირიის პროვინცია) გლეხთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ძნელია წარმოვიდგინოთ ბოროტმოქმედებანი, რაც მურერმა ჩაიდინა. საბჭოთა კავშირში ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში იგი, როცა ჰიტლერელთა საოლქო კომისარი და სს-ელთა ფიურერი იყო, მონაწილეობდა 80 ათასი საბჭოთა მოქალაქის მოსპობაში ვილნიუსში. ავსტრიის რელიგიურ საზოგადოებათა კავშირმა ამას წინათ ავსტრიის იუსტიციის სამინისტროს წარუდგინა 34 მოწმის ჩვენება, რომლებიც ამხილებენ მურერის ჩადენილ მასობრივ დახოცვას.

მას შემდეგ, რაც ათასობით ადამიანი დახოცა, მურერი ტყეად ჩაიგდეს საბჭოთა ჯარისკაცებმა და მძიმე დანაშაულისათვის საბჭოთა სასამართლომ საკვდილი მიუსაჯა. შემდგომ ეს სასჯელი პატიმრობით შეუცვალეს. სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შემდეგ, განაგრძობს გაზეთი, მურერი გადაეცა ავსტრიის ხელისუფლების განკარგულებაში, რათა შემდგომ მოეხდინა სასჯელი საბჭოთა სასამართლოს განაჩენის საფუძველზე. მაგრამ ავსტრიაში იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს, ზეიმით შეხვდნენ.

გაზეთი სვამს კანონიერ კითხვას: რამდენ ხანს იქნიან თავისუფლად მურერი და მისი მსგავსი ვაჟბატონები ავსტრიაში?

კუბის ეკონომიკის მართვის რეორგანიზაცია

ჰავანა, 24 თებერვალი. (საკდესი). კუბის მინისტრთა საბჭომ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ამ ქვეყნის ეკონომიკის მართვის რეორგანიზაციის შესახებ. შექმნილია მრეწველობის სამინისტრო, საშინაო ვაჭრობის სამინისტრო და საგარეო ვაჭრობის სამინისტრო (ლიკვიდირებულია ვაჭრობის წინანდელი სამინისტრო და საგარეო ვაჭრობის ბანკი).

მრეწველობის მინისტრად დანიშნულია ერნესტო პეკარა, რომელიც განთავისუფლებულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტიდან; საგარეო ვაჭრობის მინისტრად — ალბერტო მორა, საშინაო ვაჭრობის მინისტრად — მაქსიმო ბერგმანი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტად მინისტრის რანგით დანიშნულია რაულ სეპერო ბონილია.

მიღებულია აგრეთვე კანონი დაგეგმვის ცენტრალური საბჭოს სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კუბის ეკონომიური განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები. საბჭოს პრეზიდენტია ფიდელ კასტრო.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გაიმართა მრავალი კრება და მიტინგი კოლონიზატორების მიერ პატრის ლუმუმბას და მისი თანამებრძოლების ზეციურად დახოცვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

სურათზე: სოფიის ქრ. სმირნენსკის სახელობის ქარხნის მუშათა კრება.

ფოტო ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოსი.

საერთაშორისო მიმოხილვა

ვაშინ, როცა მთელი მსოფლიო შეძრწუნა პატრის ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა ავაზაკურმა დახოცვამ, ნიუ-იორკში მიმდინარეობდა უშიშროების საბჭოს სხდომა. მის მოწვევას საბჭოთა დელეგაცია მოითხოვდა ჯერ კიდევ 11 თებერვალს, როცა კონგოდან მოვიდა საგანგაშო ცნობები, რომ საფრთხეში იყო კონგოელი ხალხის გმირის ბედი. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დაგ ჰამარშელდმა, რომელსაც მხარი დაუჭირეს დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, ხელი შეუშალა საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევას. საბჭო შეიკრიბა მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ გამოირკვა, რომ მოხდა გამოუსწორებელი რამ — პატრის ლუმუმბა, ეოზეფ ოკიტო და მორის მპოლო აღარ არიან ცოცხალი.

ეს საერთაშორისო დანაშაული იყო იმ ბაზის ლოგიკური ბოლო, რომელსაც კონგოს საქმეებში ახორციელებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი და მისადმი დაქვემდებარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა კონგოში. უფრო ნათელი გახდა, ვიდრე ოდესმე, რომ კონგოელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხსნისათვის, კონგოს ამბების მსვლელობაში ნამდვილი შემბრძოლებისათვის საჭიროა ჭეშმარიტად დაუყოვნებლივი და მტკიცე ღონისძიებანი. სწორედ ეს ღონისძიებები წარადგინა საბჭოთა დელეგაციამ საბჭოს 15 თებერვლის სხდომაზე. მიიჩნია რა ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა დახოცვა როგორც საერთაშორისო დანაშაული და როგორც აღმაშფოთებელი დარღვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დეკლარაციისა კოლონიური ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, საბჭოთა მთავრობამ თავისი რეზოლუციის პროექტში გადაჭრით დაგმო ბელგიის მოქმედება და წარადგინა მთელი რიგი რადიკალური ღონისძიებანი კონგოს პრობლემის გადასაჭრელად. ამ ღონისძიებათა არსია ბელგიის, როგორც აგრესორის, მიმართ გამოიყენონ სანქციები, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ორგანიზაციის წესდებით, დაუყოვნებლივ დაპატიმრონ და სამართალში მისცენ ჩომბე და მობუტუ და განაიარაღონ მათდამი დაქვემდებარებული ჯარები და ეანდარმერია, განაიარაღონ და კონგოს ფარგლებიდან გაიყვანონ ბელგიის ჯარები და პერსონალი, ერთი თვის ვადით შეწყდეს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციები“ კონგოში და გაიყვანონ იქიდან უცხოელთა მთელი ჯარები და, ბოლოს, გადაიყვანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტიდან დ. ჰამარშელდი, რომელიც ხელს აფარებდა კონგოში მომხდარ მკვლელობებს.

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ცხარე კამათი უშიშროების საბჭოში. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ყველაზე მეტი, რასაც შეიძლება მოველოდეთ საბჭოში წარმოდგენილი კოლონიური სახელმწიფოებისა და მათი აგენტების ჰამარშელდისაგან — ეს არის კონგოში მომხდარ სისხლიან მკვლელობათა სიტყვიერი დგმენა და ამავე დროს მტკიცე წინააღმდეგობის გაწევა ყოველი ღონისძიებისათვის, რომლის მიზანია კონგოს პრობლემის გადაჭრა მისი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. კოლონიურმა სახელმწიფოებმა არა თუ წინააღმდეგობა გაუწიეს რადიკალური საბჭოთა წინადადებების მიღებას, არამედ აგრეთვე უარყვეს ცეილონის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ლიბერიის წინადადება, რომ კატეგორიულად დაგმეთ პოლიტიკური ლიდერთა უკანონოდ დაპატიმრება და დახოცვა კონგოში, ბოლო მოელოთ ამ დანაშაულობებისათვის გადაძღუვეტ ღონისძიებათა მიღების, თვით ძალის გამოყენების გზით.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს უშიშროების საბჭოს საქმიანობის მთლიანად პარალიზება. კამათი უშიშროების საბჭოში დამთავრდა ნახევრული რეზოლუციის მიღებით, რომელიც ჯერ კიდევ 17 თებერვალს შეიტანეს იმავე სამი ქვეყნის — ცეილონის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ლიბერიის წარმომადგენლებმა. იგი არ შეიცავს კონგოში ჩადენილ კოლონიზატორების დანაშაულობათა გადაჭრით დაგმობას. ამავე დროს ეს რეზოლუცია ითვალისწინებს ზოგიერთ კონსტრუქციულ ღონისძიებას, რომელთაგან მთავარია მოთხოვნა დაუყოვნებლივ გაიყვანონ კონგოდან ბელგიელთა და სხვა უცხოელთა მთელი სამხედრო და ნახევრად სამხედრო პერსონალი და პოლიტიკური მრჩევლები, რომლებიც არ ექვემდებარებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას, აგრეთვე ყველა დაქირავებული ჯარისკაცი.

მაგრამ რეზოლუციის მიღების შემდეგ პირველსავე საათებში აშკარა გახდა, რომ კოლონიზატორებს განზრახული აქვთ იგი გამოიყენონ იმ დანაშაულებრივი პოლიტიკის განსაგრძობად, რომელსაც კონგოში ახორციელებენ დაგ ჰამარშელდი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა. მაგალითად, გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის მიღების შემდეგ მიიჩნია, რომ ეს რეზოლუცია ჰამარშელდისადმი ნდობის გამოცხადება და კიდევ უფრო ფართო რწმუნებათა მინიჭებაა.

△ **კონგოს კრიზისი ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას**

△ **გერმანელი ხალხის ისტორიაში ყველაზე ძვირი მგზავრობა**

ამრიგად, დასტურდება ის, რაც ცხადია ყოველი სადად მოაზროვნე ადამიანისათვის: არ არის არავითარი საფუძველი მივიჩნიოთ, რომ, მიიღებს რა „ახალ მანდატს“, დ. ჰამარშელდს აეხილება თვალი და დაიწყებს ახალი პოლიტიკის განხორციელებას ა. ს. ჯერ კიდევ მელანი არ შეშრობია რეზოლუციას, რომელიც უშიშროების საბჭომ მიიღო, რომ იწყება ძისი შეგუება კასავუბუ-ჩომბე-ძობუტუს ხროვის ინტერესებისადმი. შემთხვევითი როდია, რომ ისინი უალრესად თავდაჯერებულად იქცევიან. კატანგის ჯარალთმა ჩომბემ, რომელსაც სჯერა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა“ მფარველობას უწევს, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის უპასუხა ბრძანებით საყოველთაო მობილიზაციის შესახებ, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს კონგოდან ბელგიის ავტესორთა გაყვანის ყოველგვარ ცდას. ამ ბრძანების შესაბამისად ამერიკის კატანგი „დელი ნიუსი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას „ურჩევს“ გადაიბიროს ჩომბე „როგორც ყველაზე ავტორიტეტიანი კონგოს ადგილობრივ ლიდერებს შორის“.

ამას წინათ ვაშინგტონში დამთავრდა ამერიკა-დასავლეთ გერმანიის საფინანსო მოლაპარაკება. საქმე ეხებოდა იმას, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ იკისროს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთის უდიდესი სამხედრო ხარჯების ნაწილი, ამით შეანელოს ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახდელო ბალანსის მწვავე კრიზისი და თავიდან აიცილოს ამერიკას დოლარის ღირებულების შემდგომი დაცემა.

ამერიკის საგადასახდელო ბალანსის კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატები საზღვარგარეთ ხარჯავდნენ მეტ ფულს, ვიდრე იღებდნენ სხვა ქვეყნებისაგან. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთის ხარჯების მთავარი ნაწილი მოდიოდა და მოდის ამერიკის სამხედრო ბაზებისა და ამერიკის ჯარების შენახვაზე სხვა ქვეყნებში, აგრეთვე აგრესიულ სამხედრო ბლოკებში ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისადმი სამხედრო „დახმარებაზე“. ამ ხარჯების გაგლენას ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახდელო ბალანსის პასიურობაზე ანელებდა ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საზღვარგარეთ გაჰქონდათ მეტი საქონელი, ვიდრე შეჰქონდათ. მაგრამ ამერიკის ექსპორტის გადამეტება იმპორტზე წლითიწლამით მცირდება. შარშან იგი ალარ წარმოადგენდა ფაქტორს, რომელსაც შეუძლია გაჯარწყლოს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთის უდიდესი სამხედრო ხარჯების დამღუპველი გავლენა დოლარზე. ასე წარმოიშვა დოლარის კრიზისი.

დოლარისადმი, როგორც კაპიტალისტური სამყაროს წამყვანი ვალუტისადმი საფრთხის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ჯერ კიდევ შარშან. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა არ გამოიჩინეს ოდნავი სურვილიც კი ამმოეფხვრათ ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახდელო ბალანსის საში დეფიციტურობის პირველი მიზეზი. ვაშინგტონი ცდილობს ფინანსური დაძაბულობა შეანელოს იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთის სამხედრო ხარჯების ნაწილი დააკისროს მოკავშირეებს. ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედების ობიექტი გახდნენ არა ინგლისი და საფრანგეთი, არამედ დასავლეთი გერმანია. ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომისტთა წრეებში ამას იმით ხსნიან, რომ ამერიკის მონოპოლიები შეშფოთებული არიან დასავლეთ გერმანიის ეკონომიური კონკურენციით, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. თავისი საფინანსო ტვირთის ნაწილის დაკისრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვთ შეასუსტონ ბონის კონკურენციის უნარი.

მთელი რიგი თვეების მანძილზე ბონი წინააღმდეგობას უწევდა ვაშინგტონის ზეგავლენას, საბჭოთა მკითხველს ახსოვს, თუ რა ცივად მიიღეს ბონში შარშან ნოემბერში ამერიკის მისია, რომელსაც მეთაურობდნენ მაშინდელი ფინანსთა მინისტრი რ. ანდერსონი და სახელმწიფო მდივნის მოადგილე ეიზენჰაუერის მთავრობაში დ. დილონი. შემდეგში ბონი იძულებული გახდა რამდენადმე შეერბილებინა თავისი პოზიცია, წამოაყენა რა შეერთებული შტატებისათვის ერთდროული წუალობის— 4 მილიარდი მარკის მიცემის გეგმა. მაგრამ ახალმა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ პირდაპირ განაცხადა, რომ არ მიიჩნია საკმაოდ ბონის ეს წინადადებანი. ხანგრძლივი მოლაპარაკების მსვლელობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას აგრძნობინეს, რომ საქმე ეხება მის ფინანსურ დახმარებას მუდმივ საფუძველზე.

14 თებერვალს დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ ბრენტანო გაფრინდა ვაშინგტონს, რათა უშუალოდ კენედისა და მის მთავრობასთან განეხილა მთელი ეს პრობლემა. როგორც კი ბრენტანოს თვითმფრინავი დაეშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკის ელჩმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაულინგმა ინახულა კანცლერი ადენაუერი და გაუცთა განცხადება, რომლის მიზანი იყო აეძულებინა ბონის მთავრობა უფრო დამთმობი ყოფილიყო. ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ ცნობით, დაულინგმა „კანცლერს აცნობა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მოაგვარონ სინქლეები, რომლებიც დაკავშირებულია მათ საგადასახდელო ბალანსთან, გარედან დაუხმარებლად. მაგრამ ღონისძიებანი, რომელთა მიღებაც მათ მოუხდებოდათ, სერიოზულ გავლენას მოახდენდნენ დასავლეთის კავშირზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუხდებოდათ შემცირებინათ თავიანთი მუდმივი ვალდებულებანი საზღვარგარეთ, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის მთავარ მიზეზს, და ნაბიჯი გადაედგათ უკან იზოლაციონიზმისაკენ“.

ბონ-ვაშინგტონის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ როგორც კომუნიკედან ჩანს, რომელიც 17 თებერვალს გამოქვეყნდა, ვაშინგტონის გაფრთხილებამ გავლენა მოახდინა ბონის პოზიციაზე, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა ფინანსური დახმარება გაუწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებს გრძელვადიან საფუძველზე. დასავლეთ გერმანიის ახალ ფინანსურ ვალდებულებათა სანაცვლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კომუნიკეში დაოქვეს, რომ

ქართველი ერის ერთიანობისა და ძმობის ... ერთიანობისა

ხალხური შემოქმედების ზეიმზე

წარმატებით გრძელდება საქართველოს სსრ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების IX რესპუბლიკური ოლიმპიადა. კონცერტებს ყოველთვის ბევრი მაყურებელი ესწრება.

ასე იყო 25 თებერვალსაც რუსთველის სახელობის თეატრში, სადაც გაიმართა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი IX რესპუბლიკური ოლიმპიადის მორიგი კონცერტი.

ამ დღეს გამოვიდნენ თიანეთის, ახალქალაქის, სიღნაღის, ამბროლაურის, ხობისა და ხაშურის რაიონების წარმომადგენლები.

თიანეთის რაიონის კულტურის სახლის კოლექტივმა შეასრულა მთელი რიგი სიმღერები და ცეკვები, მათ შორის ნ. არჯევნიშვილის სიმღერა (სიტყვები გ. ტაბიძისა) „ეს სიმღერაა საქართველოსი", ო. ხუციშვილის სატრფიალო (სიტყვები ა. ხაიაურისა), მასობრივი ცეკვები „ფარიკაობა", „ხევსურ ქალთა ლხინი" და სხვ.

ახალქალაქის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის პროგრამაში იყო სიმღერა ახალქალაქზე და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „მოსავლის დღესასწაული".

მაყურებელი გაახარა სიღნაღის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომელმაც დიდი ცოდნითა და ოსტატობით შეასრულა ხალხური სიმღერები „შემოძახილი", „ქალოსპირული", „ცელო, მოუსვი" კომპოზიტორ ს. მირიანაშვილის სიმღერა სიღნაღზე (სიტყვები პოეტ ა. ბეგაშვილისა). მაყურებელნი გულთბილად შეხვდნენ სახალისოთო ცეკვას „ლხინი ქიზიყში".

ხალხური სიმღერების ოსტატური შესრულებით ისახელეს თავი ამბროლაურის რაიონის წარმომადგენელებმა. მათ რეპერტუარში იყო ხალხური სიმღერები „შავქუჯა", „რაჭული მაყრული", „საახალწლო მილოცვა" და კომპოზიტორ ს. ცინცაძის „ჰიმნი პარტიას". კოლექტივმა გამოსვლა დაამთავრა სიმღერითა და ფერხულით „დიგორსა დასხდნენ ვაზირნი".

მაყურებლებში პოპულარობა მოიპოვეს ხობის რაიონის წარმომადგენლებმა. ხალხური სიმღერები „ქეისრული", „ჯანსულო" (სოლისტი ა. ჯალაღანია), „მეჩაიეთა სიმღერა" და ანსამბლის ხელმძღვანელთა ვ. ალანიასა და ა. ბერაიას სიმღერა „მინდვრის დედოფალი" (სიმღერა სმინდზე) მაყურებლებმა დამსახურებული ტაშით დაჯილდოვეს. წარმატებით გამოვიდა აგრეთვე ინსტრუმენტალურ-ვოკალური ჯგუფი, რომელმაც შეასრულა სიმღერა „ორმოცი წლის საქართველოს" და ა. მეგრელიძის „სიმღერა სამშობლოზე".

კონცერტის დასასრულს გამოვიდა ხაშურის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც წარმატებით შეასრულა ხალხური სიმღერები „არაგვი", „მურმან, მურმან", ცეკვა „ფერხული", „ცანგალა და გოგონა" და სხვ.

საღამოზე გამოვიდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები თიანეთელი ა. ხაიაური, ბ. ჯანგიძე, ლ. ალიაშვილი, ნ. ხაიაური, ი. რაიბული, ხაშურელი ი. ჯოჯიშვილი და სხვები.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოკანოვი, მ. ი. კუჭავა. (საქდესი).

სურათებზე: (ზევით) სიღნაღის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა, (ქვევით) ლიანა წერეთელი და გიორგი გურგენიძე ასრულებენ ცეკვა „ქართულს" (ამბროლაურის რაიონი).

ფოტო ბ. დადვაძისა.

სტალინირი. (საკ. კორ.). ქალაქად და სოფლად, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, კულტურის კერებში მოწყობილია საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი ნიძღვნილი გამოფენები. ყურადღებას იპყრობს გამოფენა, რომელიც მოეწყო სტალინირის კრუპსკაიას სახელობის საოლქო ბიბლიოთეკაში. აქ წარმოდგენილია რუსულ, ქართულ და ოსურ ენებზე გამოცემული პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, რომლებშიც ასახულია თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლა და საქართველოს სახალხო მეურნეობის ზრდისა და განვითარების წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ უკანასკნელ ხანებში გამოსცა რამდენიმე ახალი წიგნი, რომლებიც მიეძღვნა დიდ დღესასწაულს. გამოვიდა მოწინავე ოსი მწერლების რჩეულ ნაწარმოებთა კრებული „ცხოვრების გაზაფხული", რომელშიც შევიდა ს. კულაევის, გ. ჯუგაევის, თ. გაგლოევის, რ. ასაევის და სხვათა ნაწარმოებები. ოსი მწერლები უმღერიან საქართველოს, მშრომელ ქართველ ხალხს, ჩვენი მეურნეობისა და კულტურის აყვავებას.

„ცხოვრების გაზაფხული"

ფილმია „საყვირის შემდეგ" გაიმარჯვა სან-ფრანცისკოში

ჩვენს მაყურებლებს კარგად ახსოვთ თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმების" მულტიპლიკაციური კინოსურათი „საყვირის შემდეგ", რომელიც გასულ წელს გამოვიდა ეკრანებზე. ფილმი თანამედროვეობის თემაზეა შექმნილი. მისი მთავარი იდეაა შეაყვაროს ბავშვებს შრომა, შრომის იარაღები, მოუწოდებს საკუთარი ხელით დამშვენონ გასართობი საგნები, საკრავი ინსტრუმენტებიც კი.

ფილმის სცენარის ავტორები არიან ნ. ბენაშვილი და ვ. ბახტაძე, დამდგმელი რეჟისორი ვ. ბახტაძე, კომპოზიტორი ს. ნასიე, ოპერატორი ს. სპარსიაშვილი. მხატვრებიდან კინოსურათის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ ა. ხუსკივაძე, გ. ნოვოეძლოვი, ნ. შალიკაშვილი, ნ. პომორცევი, ი. დოიაშვილი, ლ. პოპოვი და სხვები.

...ვაისმის საყვირის ხმა. მუშები ტოვებენ ჩარხებს. იწყება ზღაპარი. ქარხანაში ცოცხლდებიან ინსტრუმენტები, ხელსაწყო-იარაღები, ტექნიკური დეტალები. მათ სურთ მოაწყონ რაღაც გართობა-დასვენება, მაგრამ არ იციან როგორ. ჩაქუჩს უნდა, რომ ყველამ აბრაზუნოს და იწყება აურზაური, ტაგრეკა, ოროტორიალი. ამ ხმაურს ვერტმფრენზე დადგმული უნივერსალური ტელეეკრანის სამუალებით იგებს ხელმარჯვე ოსტატი და მაშინვე ქარხნისაკენ მოფრინავს. იგი შთაგონებს „გაცელქებულ" დეტალებს, რომ გონივრული დასვენების მოწყობა შეიძლება საკუთარი ძალებით. და აი ისინი იწყებენ მუშაობას, აკეთებენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს და თავიანთი მუშაობით მეტად კმაყოფილნი მართავენ კონცერტს.

შესანიშნავად არის ფილმში ნაჩვენები ძმების ფარგალაძეების აკრობატული, რიტმული ცეკვა, რომელიც მუსიკალურად ოსტატურად არის აგებული მელოდიაზე „ინდი-მინდი", საუცხოოდ ფილმის შემოქმედებითმა კოლექტივმა შექმნა ასი ათასი ნახატი. ამ დღეებში თბილისის კინოსტუდიაში კალიფორნიიდან მოვიდა ცნობა, რომ მულტიპლიკაციური კინოფილმის „საყვირის შემდეგ" რეჟისორმა ვახტანგ ბახტაძემ, გასული წლის დამლევს, სან-ფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო პრემია „ღირსეული მონაწილეობისათვის".

აი რა წერია სან-ფრანცისკოდან მიღებულ წერილში:

„ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ: საერთაშორისო კინოფესტივალი სან-ფრანცისკოში, მსოფლიო მნიშვნელობის ყოველწლიური კულტურული მოვლენა, აღიარებს მეოცე საუკუნის ახალ ხელოვნებას,

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ: საერთაშორისო კინოფესტივალმა სან-ფრანცისკოში დიდი სარგებლობა მიიღო თქვენი თვალსაჩინო წვლილით და დაუცხრომელი მუშაობით ამ უნიკალურ ხელოვნებაში და

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ: საერთაშორისო კინოფესტივალს სან-ფრანცისკოში პატივი ეცით თქვენი ღირსეული მონაწილეობით და კეთილშობილური წვლილით ამ ყოველწლიური მოვლენის წარმატებაში,

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ: ჩვენ, სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალის აღმასრულებელი საბჭო, განიჭებთ პრემიას კინოფესტივალში ღირსეული მონაწილეობისათვის და მოგახსენებთ ჩვენს მადლობას თქვენი მხატვრული შრომისა და კეთილი ნებისათვის, რის დასადასტურებლადაც ამას ვურთავთ ჩვენს ხელმოწერას.

ᲑᲐᲠᲝᲚᲓ ᲖᲔᲚᲔᲜᲑᲐᲮᲘ, ქალაქ და საგრაფო სან-ფრანცისკოს ხელოვნების საქმეთა კომისიის პრეზიდენტი

ᲘᲠᲕᲘᲜᲒ Მ. ᲚᲔᲕᲘᲜᲘ, სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი — განმკარგულებელი".

ამ წერილს ოფიციალურად ადასტურებს სან-ფრანცისკოს ქალაქის მერი ᲯᲝᲠᲯ ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲔᲠᲘ.

• • •

სურათებზე: (ზევით) სან-ფრანცისკოდან მიღებული დიპლომი, (ქვევით) კადრები ფილმიდან „საყვირის შემდეგ".





საინტერესო ნაპოვნი

ᲑᲣᲘᲒᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებთა უურადღებას იპყრობს პალეოლითური პერიოდის ადამიანთა სადგომები, არქიტექტურული ძეგლები, ციხე-სიმაგრეთა ნაშთები.

ამ დღეებში აქ არქეოლოგიური მნიშვნელობის მრავალი ნივთი აღმოაჩინეს. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კარგად შემონახული ქვის ცული. ეს ორიგინალური იარაღი იპოვნეს სტალინის სახელობის შახტის კარიერში. საინტერესოა კაფის ორი იარაღი — დანა და ისრის პირი, ისინი აღმოაჩინა არქეოლოგიის მოყვარულმა, სამთო ინჟინერმა ი. ჯაოშვილმა. ქალაქის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა იპოვნეს ბრინჯაოს თოხი და ადამიანის სამკაულები. ნაპოვნთა შორის არის აგრეთვე რკინის საბრძოლო იარაღები—ისრის პირი და შუბი.

აქ იზრდებიან სპეციალისტები

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სვანეთის მაღალმთიან სოფელ ბეჩოში ვეტუბნეს გამგეა ახმად ხაზიანი. მასთან ერთად ამავე უბანში მუშაობენ ვეტფერშლები ლეილა გაბლიანი, მარო გერგლიანი, მერი ობოლაძე და საშა გერგლიანი. ყველა ისინი ქუთაისის სარაინთაშორისო საკოლმეურნეო სკოლის კურსდამთავრებულები არიან.

გარდა ვეტფერშლებისა, სკოლა კოლმეურნეობათა მოანგარიშეებს და უმცროს ზოოტექნიკოსებს ამზადებს. თავისი არსებობის ოცდაშვიდი წლის მანძილზე სარაიონთაშორისო სკოლამ, რომელმაც საკოლმეურნეო კადრების სამჭედლოს სახელი დაიმკვიდრა, სოფელს 3 ათასამდე სპეციალისტი მოუმზადა.

„ქართული ოქრომჭედლობა"

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი ჩუბინაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართული ოქრომჭედლობა" ორ ტომად.

პირველი ტომი შეიცავს მთლიანად ტექსტებს, აქ არის „რკვევანი ქართული შუა საუკუნეთა ხელოვნების ისტორიისათვის". II ტომში გამოქვეყნებულია ილუსტრაციები ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ძეგლებისა.

I ტომი შედგება 690 გვერდისაგან, II — 602. გ. ჩუბინაშვილის „ქართული ოქრომჭედლობა" არის ავტორის მრავალი წლის კვლევის ნაყოფი. გიორგი ჩუბინაშვილი თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში შუქს ჰფენს ქართული ხელოვნების ერთ-ერთ უმდიდრეს დარგს, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებთან არის წარმოდგენილი. ავტორი იძლევა სტილისტიკური ევოლუციის საფეხურებს VIII-IX საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე XVIII საუკუნემდე, უმთავრესად კი X-XIII საუკუნეებისას, როცა ჩვენში ოქრომჭედლობის ხელოვნებამ დიდ განვითარებას მიაღწია.

გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ხელოვნებათმცოდნეებში.

უცხოელ დიპლომატთა მოგზაურობა საქართველოში

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 25 თებერვალი. (საქდესი). საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები, საზღვარგარეთის საელჩოთა საქმეთა რწმუნებულები, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან საქართველოში, დღეს ეცნობოდნენ აჭარის სსრ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას.

დილით დიპლომატიური კორპუსის წევრებმა დათვალიერეს ბათუმი. ნათელისერნეს ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე, ტკბებოდნენ ზღვისპირა პარკის მშვენიერი პანორამით.

ინტერესით გაეცნენ სტუმრები მანქანთსაშენებელ ქარხანას, რომელიც მანქანებსა და მოწყობილობას უშვებს ჩაის, საკონსერვო და პურის საცხობი მრეწველობისათვის. ქარხნის დირექტორმა ი. ხ. ნოღაიდელმა განაცხადა, რომ ქარხნის პროდუქცია გეზავნება საბჭოთა კავშირის ბევრ რაიონს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებს, კერძოდ, ჩინეთსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

უცხოელმა დიპლომატებმა დაათვალიერეს საწარმოო საამქროები, თვალყურს ადევნებდნენ წარმოების მუშაკთა მუშაობას, ესაუბრნენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ ნუშაკებს. მეტად დაინტერესა ისინი მოსწავლეთა საწარმოო სწავლების საამქრომ. გამოცდილ ოსტატთა დახმარებით ქალაქის მთელი რიგი საშუალო სკოლების მოსწავლეები აქ ეუფლებიან ზეინკლის, ხარატის პროფესიას.

დიპლომატები ესაუბრნენ № 1 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელებს, რომლებიც მეცადინეობდნენ აქ პედაგოგ მ. დ. დუნდუას ხელმძღვანელობით. მათ ბავშვებს მისცეს შეკითხვები სწავლის წარმატებათა, დასვენების შესახებ.

ისრაელის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა მიკუნისმა მალე გამოსახა საერთო ენა მოსწავლე რონინ ხუხუნაშვილთან. ორივე მგზნებარე ფილატელისტი აღმოჩნდა.

ელჩმა ჰპატიჟა აჩუქა საფოსტო მარკების კოლექტები და უთხრა:

— გისურვებ დიდ წარმატებებს, გაიზარდე კარგი მუშა, კარგი ინჟინერი.

წამოვიდა ძლიერი წვიმა. მაგრამ ამან არ შეუცვალა სტუმრებს სურვილი დაეთვალიერებინათ ბათუმის ბოტანიკური ბაღი. ბუნების ამ ცოცხალ მუზეუმში წარმოდგენილია ესოფლეოს ყველა ნაწილის მცენარეული საბაყარო. 100 ჰექტარ ფართობზე აქ დარგულია 4.000-ზე მეტი სახეობის 10 ათასამდე ხე და ბუჩქი.

ბოტანიკური ბაღის დირექტორმა დ. მანჯავიძემ სტუმრებს უამბო სამეცნიერო მუშაობაზე, რომელიც წარმოებს აქ მცენარეთა აკლიმატიზაციისათვის. მეცნიერებს მჭიდრო კავშირი აქვთ საზღვარგარეთის 40 ქვეყნის 220-ზე მეტ სამეცნიერო დაწესებულებასთან.

ცვალებადია შავი ზღვის სანაპიროს ბუნება. წინა დღეებში აქ თბილი მზიანი დღეები იყო, თერმომეტრი 18 გრადუს სითბოს უჩვენებდა. ზღვა წყნარი და ალერსიანი იყო. დღეს კი უცბად დაბერა ცივმა ქარმა და იქ მომენტში, როცა დირექტორმა თქვა, რომ ბოტანიკური ბაღი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე თბილ ადგილს მდებარეობსო, წამოვიდა თოვლი და ირგვლივ ყველაფერი თეთრით დაიფარა.

— დიახ, — ღიმილით ამბობენ დიპლომატები, რომლებსაც ხელში უჭირავთ მიმოზებისა და კამელიების დიდი თაიგულები, — ეზიარი საქართველოდან ჩვენ ერთბაშად ჩრდილოეთში გადავედით...

ავტობუსები გზას განაგრძობენ ანასეულის მიმართულებით. აქ უცხოელი ელჩები და საქმეთა რწმუნებულები შეხვდნენ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლებს. ამ სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დ. პატარავამ და დ. ფანცხავამ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ მ. დოლაბერიძემ ილაპარაკეს იმაზე, რომ ქართველი მეცნიერები ეხმარებიან მეჩაიეებს პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებაში, მათი დაღუშვების მექანიზაციაში, მწვანე ჩაის ფოთლის საკრეფი სრულყოფილი მანქანების შექმნაში. დიპლომატიური კორპუსის წევრებმა გაიგეს, რომ აქ, ანასეულში, ისტორიაში პირველად გამოყვანილია ჩაის სელექციური ჯიშები, რომლებიც წარმატებით დანერგილია წარმოებაში.

იაპონის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ს. კადოვაკამ შენიშნა:

— მე და დიპლომატიურ კორპუსში ჩემი კოლეგები ინტერესით გავეცანით თქვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საქმიანობას. ჩვენ ვიცით, რომ ჩაის მრეწველობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. რაც შემეხება ენ, ცხოველ ინტერესს ვიჩენ ამ დარგისადმი, რადგან იაპონია ხმაროობს და დიდი რაოდენობით აწარმოებს ჩაის. თქვენი წარმატებანი ფრიად მნიშვნელოვანია, მე ვიტყოდი, განსაცვიფრებელია, განსაკუთრებით მექანიზაციის დარგში. მე და ჩემი მეგობრები გისურვებთ შემდგომ წარმატებებს.

დიპლომატები განაგრძობენ საქართველოს გაცნობას.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

26 თებერვლიდან 3 მარტამდე დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე, რაიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 0-5, მაქსიმალური 4-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ამავე პერიოდში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი, უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, მაქსიმალური 3-8 გრადუსი სითბო.

მატჩ-რევანში მოლოდინში

ᲑᲔᲕᲠᲘ დრო აღარ დარჩა იქამდე, როდესაც ტალ-ბოტვინიკის „საუკუნის მატჩის" მსაჯი, შვედი გროსმაისტერი გ. შტალბერგი ჩართავს საათს და საჭადრაკო სამყაროს ორი თვით „ცეებ-ცხელების" მდგომარეობაში ამყოფებს. ინტერესი ამ მატჩ-რევანშისადმი განუზომელია. ჭიმმხილველთა აზრით, შარშანდელი ორთაბრძოლა, მატჩის ანგარიში არ ასახავდა ძალთა ნამდვილ თანაფარდობას, თუმცა ახალგაზრდა რიგელი გროსმაისტერის გამარჯვება, რასაკვირველია, დამსახურებული იყო. ამჯერად მოსალოდნელია ბევრად უფრო მწვავე ბრძოლა, მით უმეტეს, რომ მეტოქენი უკვე ჩინებულად იცნობენ ერთმანეთს.

მატჩები მსოფლიოს პირველობაზე ყოველთვის როდი იწვევდა ესოდენ დიდ ინტერესს. გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ეანუელ ლასკერი 27 წელს „რკინის ხელით" მართავდა საჭადრაკო მსოფლიოს, მაშინ ზოგიერთი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე მიმომხილველებისა და დამსწრეთა თავისშესაქცევ საგნადაც კი ხდებოდა იმის გამო, რომ ძალები ამკარად არათანაბარი იყო. ლასკერ-ინოვსკის მატჩის დამსწრე გერმანელი ეურნალისტი ბერლინის გაზეთებს ატყობინებდა: „ორთაბრძოლა მეტად მრავალფეროვნად მიმდინარეობს. ხან ლასკერი იგებს, ხან ინოვსკი აგებს". ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ ხშირად მსოფლიოს ჩემპიონს ეთამაშებოდა არა უძლიერესი პრეტენდენტი, არამედ ის გროსმაისტერი, რომელიც უზრუნველყოფდა მატჩის ფინანსურ მხარეს და გადალახავდა ე. წ. „დოლარების ჯებირს". 1948 წლიდან საჭადრაკო მსოფლიომ თავი დაიდწია ასეთ არანორმალურ მდგომარეობას. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ შეიმუშავა მეტად სამართლიანი და მკაცრ სისტემა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონს ვალდებულს ხდის შეხვდეს პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულს. მსოფლიოს ჩემპიონს ჩამოერთვა მეტოქეს დასახელების უფლება, რომელსაც ხშირად კულიოზებამდე მივყავდით.

რა ცვლილება მოხდა საჭადრაკო სამყაროში ბოტვინიკ-ტალის შარშანდელი მატჩის შემდეგ? ერთადერთი საერთო შეჯიბრება, სადაც მსოფლიოს ჩემპიონი და ექს-ჩემპიონი მონაწილეობდნენ, იყო ლაიპციგის საჭადრაკო ოლიმპიადა. ბევრი დაიწერა ოლიმპიადაზე ბოტვინიკის შემოქმედებითი და სპორტული წარმატების შესახებ. ექს-ჩემპიონმა „დამაკმაყოფილებელი ურთიერთობა" დაამყარა" საჭადრაკო საათთან, რამაც დამღუპველად იმოქმედა მის შედეგებზე ტალთან მატჩის დროს. ამჯერად ბოტვინიკი ერთხელაც არ მოხვედრილა ციტადელში. გაფართოვდა ექს-ჩემპიონის სადებიუტო რეპერტუარიც. ლაიპციგში ნამდვილი სენსაცია გამოიწვია ბოტვინიკის პირველმა სვლამ მეფის პაიკით არგენტინელ გროსმაისტერ ელისკასზესთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს სვლა ბოტვინიკს არცერთხელ არ გამოუყენებია სმისლოვთან სამი მატჩის დროს მსოფლიო პირველობაზე. ტალთანაც ბოტვინიკი ამჯობინებდა დახურულ დასაწყისებს, რათა ექსპანსიური მეტოქისათვის თამაშის გაშლის საშუალება არ მიეცა. სავსებით შესაძლებელია, რომ ამჯერად ბოტვინიკმა გადაწყვიტა შეცვალოს ტაქტიკა და მეტოქეს საგულდაგულო ბრძოლა გუმართოს.

დღეს მსოფლიოში რამდენიმე გროსმაისტერი თავისი ძალით უანლოდდება ტალსა და ბოტვინიკს. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ვავეცნობით, როგორი ანგარიში აქვთ მათთან ტალსა და ბოტვინიკს. საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი პეტროსიანი უკანასკნელ ხანებამდე შემთხვევით როდი ატარებდა „უიმების მეფის" წოდებას. ტალს იგი ათჯერ შეხვდა. აქედან 9 (!) პარტია უაიმით დამთავრდა, ხოლო ერთი ტალმა მოიგო. უაიმით დამთავრდა პეტროსიანის სამივე შეხვედრა ბოტვინიკთანაც. პრეტენდენტთა ტურნირის მომავალი მონაწილე კერესი ტალისათვის მეტად უსიამოვნო მეტოქეა. თუმცა მათი პირველი შეხვედრა რიგელი გროსმაისტერის სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ შემდეგ კერესმა „ალღო აუღო" მოწინააღმდეგეს, დღეისათვის კერესმა 8 პარტიიდან მოიგო 4, წააგო 2 და ამდენივე ყაიმით დაასრულა. ბევრად უარესი ანგარიში აქვს კერესს ბოტვინიკთან. 18 პარტიიდან ბოტვინიკმა მოიგო 7, წააგო — 3 და 8 ყაიმით დაამთავრა. მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ ეს იყო დიდი ხნის წინათ, უკანასკნელ ორ შეხვედრაში კერესმა ორი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონ კორჩნოის ტალი „ვერ უძლებს". როგორც თვით ტალმა ხუმრობით განაცხადა, მას კორჩნოისთან „თანაბარი ანგარიში" აქვს — ხუთი წაგება და ხუთი ყაიმი. ასეთი კატასტროფული ანგარიში ტალს არავისთან არა აქვს. ბოტვინიკი და კორჩნოი ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდნენ. ორი პარტია ყაიმით დამთავრდა, თითო მოიგეს მეტოქეებმა. ბოტვინიკის ამისწინანდელი დამარცხება კორჩნოისთან, ტალის აზრით, არ მეტყველებს ექს-ჩემპიონის ცუდ ფორმაზე, რადგან ლენინგრადელ გროსმაისტერთან შეიძლება წააგოს თვით შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში მყოფმა მოჭადრაკემაც კი.

მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს სმისლოვს ტალი ოთხჯერ შეხვდა, ორჯერ მოუგო, ერთი წააგო და ერთიც ყაიმით დაამთავრა. ჭეშმარიტად „გაუთავებელი დავა" აქვთ ბოტვინიკსა და სმისლოვს. მათ ერთმანეთთან გაითამაშეს 91 (!) პარტია. 24 პარტია ბოტვინიკის გამარჯვებით დასრულდა, 21 მოიგო სმისლოვმა, 46 პარტია ყაიმით დასრულდა. მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილ პრეტენდენტს ბრონშტეინს ტალმა ოთხი პარტიდან მოუგო ორი და ამდენივე ყაიმით დაამთავრა. ბოტვინიკი 28-ჯერ ეთამაშა ბრონშტეინს. ექს-ჩემპიონს აქვს 7 მოგება, 6 წაგება და 15 ყაიმი. ოდესულ გროსმაისტერ გელერს ტალი იოლად უსწორდება. მან 3 პარტიიდან მოიგო 2 და ერთი ყაიმით დაამთავრა. გელერი წლების განმავლობაში გადაულახავი ზღუდე გახდა ბოტვინიკისათვის. ხუთი პარტიიდან გელერმა 3 მოიგო, 1 წააგო და 1 ყაიმით დაამთავრა. ახალგაზრდა გროსმაისტერი სპასკი ტალის დიდი „მტერია", 6 პარტიიდან ლენინგრადელმა მოიგო 4, ერთი წააგო და ერთიც ყაიმით დაამთავრა. ყაიმით დამთავრდა ბოტვინიკისა და სპასკის ორი შეხვედრა.

ასეთია დაძაბული ვითარება ტალ-ბოტვინიკის ახალი მატჩის წინ. სიტყვაძუნწი და „ეურნალისტების მოძულე" ბოტვინიკი დღემდე თავს იკავებს მისი მოსალოდნელი შედეგის ყოველგვარი კომენტარებისაგან. რაც შეეხება ტალს, მან ამ დღეებში განაცხადა, რომ ექს-ჩემპიონის ფორმის საგრძნობი გაუმჯობესების გამო ამჯერად უარესად დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი.

საჭადრაკო სამყარო ითვლის მატჩ-რევანშამდე დარჩენილ დღეებს.

გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

გროსმაისტერის დამარცხება

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის რუსთველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს საჭადრაკო პირველობის ფინალის მორიგი მეშვიდე ტური.

ამ დღეს თითქმის ყველა დაფაზე მიმდინარეობდა შეუპოვარი და საინტერესო ბრძოლა. თანმიმდევრულად და ძლიერად ჩაატარა პარტია ოსტატობის კანდიდატმა თ. ლომაიამ გროსმაისტერ რ. ხოლმოვის წინააღმდეგ. მან დებიუტიდან უკეთესი პოზიცია და გამსვლელი პაიკი მიიღო, შემდეგ გროსმაისტერს ხარისხი შეწირა და ამ კომბინაციით ფიგურა მოიგო. მოკლე ბრძოლის შემდეგ რ. ხოლმოვმა პოზიცია უომედოდ ჩათვალა და 38-ე სვლაზე დანებდა.

წარმატებით განაგრძობს ბრძოლას ოსტატი ე. გუფელდი, რომელიც მეშვიდე ტურში შავებით ჭ. ბერძენიძის წინააღმდეგ თამაშობდა და გაიმარჯვა.

ყველაზე მოკლე გ. გამრეკელისა და ა. გაგუას პარტია აღმოჩნდა. მოწინააღმდეგენი არ ცდილან ბრძოლის გამწვავებას და მე-19 სვლაზე ყაიმით დაკმაყოფილდნენ.

საზონთაშორისო ტურნირის მონაწილე ლ. შტეინი, რომელიც დაუმარცხებლად გამოდის და ლიდერთა ჯგუფში იმყოფება, მეშვიდე ტურში შეხვდა ი. ჩიქოვანს. ლ. შტეინის პოზიცია თავიდანვე უკეთესი იყო. მან მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც.

ოსტატობის კანდიდატის თ. გიორგაძისა და ოსტატ ა. ბუსლაევის პარტიაში შავების მდგომარეობა შედარებით უარესად გამოიყურებოდა, მაგრამ თ. გიორგაძემ შეცდომა დაუშვა, დაკარგა ფიგურა და დანებდა.

თბილისის 1961 წლის ჩემპიონმა ა. იზვოზჩიკოვმა დაამარცხა დ. ჯანოევი, გ. კალატოზიშვილმა — გ. ეგიაშვილი, ე. მიქაელიანმა — რ. ზეინეკიტი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

შვიდი ტურის შემდეგ კვლავ წინ არის ე. გუფელდი, რომელსაც შვიდი ქულა აქვს.

ნახევარფინალში გამარჯვეგული

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ. 25 თებერვალი. „კალევის" სასპორტო დარბაზი, სადაც მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში უმაჩატეს, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონებში, დღეს ვერ იტევდა ჭიდაობის მოყვარულებს.

ეს შეხვედრები ნახევარფინალური ასპარეზობები იყო. მას უნდა გამოეკვლინა ფინალისტები, ოქროს მედლებისათვის მებრძოლები.

უმაჩატეს წონაში დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მახაჩკალელმა ალიევმა, თბილისელმა შეკრილაძემ და ბელორუსიის წარმომადგენელმა ლიტვინმა.

ქვემსუბუქ წონაში ფინალში გავიდნენ ესტონელი კაჩკინი, თბილისელი რუბაშვილი და რსფსრ მოჭიდავე გაჯიევი.

ქვესაშუალო წონაში ასპარეზობა გვიან ღამემდე გრძელდებოდა. აქ გამოვლინდა ფინალის ერთი მონაწილე — კიეველი ნებიერიძე.

ქვემძიმე წონაში ოქროს მედლისათვის ბრძოლას განაგრძობენ ლენინგრადელი ალბული, კიეველი გურეკვიჩი და ზეგლიანოვი (იკევსკი).

რედაქტორი

დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ღამით, როცა ეძინათ... შემთხვევები

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ მცხეთას გასცდა, უკან მოიტოკა კასპის მიდამოებიც... მგზავრებს ჩასთვლიდნა. გვიან ღამით მორგ სადგურზე ერთ-ერთ ვაგონში, რომლის გამცილებელი ლ. ჭადაშვილი იყო, ვიღაც აკერდგადაღეღილი ახალგაზრდა სტვენით შემოვიდა.

— თქვენი ბილეთი? — ჰკითხა მგზავრს გამც